სახალხო გაზეთი

№ 699 კვირა, 16 სექტემბერი 1912 წ. № 699

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კ., უკან 10 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო-ჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა ,,შრომა''-ში, მუხრანის ქუჩა, და ეღირება 4 მანეთი.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და მ. მეტცლ და ამხ.-ბის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში--მორსკაია 11, ვარშავაში--მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში--ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება ,,სახალხო გაზეთი''-ს რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე. საღამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადი მოლაპარაკება შეიძლება ყოველ-დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: ტფილისში, სასახლის ქ., სარაჯიშვილის სახ. № 6. ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისოვის: ტფილისი, ქართული ,,სახალხო გაზეთი'' 190.

ტელეფონი № 12-29

გაზეთის ფასი წელიწ. 8 მ. 50 კ. ცალკე № ყველგან 5 კ.
,, ,, თვეში — 75 კაპ. დამატებიანი 7 კ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა.

ხუთშაბათს, 13 სექტემბერს, ქ. ალექსანდროპოლში მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა

სიმონ ესეს ძე სირაძე,

რასაც გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ განსვენებულის მეუღლე **ელპიტი**, შვილები: **თამარა, ნინა** და **ალიოშა სირაძეები**; სიმამრი **ასალო**, სიდედრი **მაკრინე**, ცოლის ძმები: **დიმიტრი, ანტონ, პლატონ, კოტე** და **თევდორე**, ცოლის დები: **ეფემია, ალათი (გოგოცა) ჯანელიძეები** და ცოლის და **ლასიონ მდინარაძე**. დაკრძალვა მოხდება კვირას, 16 სექტემბერს ს. ვანისკედში (ოზურგეთის მაზრა). (1.680.1)

ტელეფ. № 795. **ქართული თეატრი** ტელეფ. № 795.

კვირას, 16 სექტემბერს 1912 წ. სეზონის გასახსნელად ქართული დრამატიული საზოგადოების დასის მიერ **ვლ. ალექსი-მესხიშვილის** მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება:

სამშობლო

ისტორ. დრამა 5 მოქ. და 7 სურათად ე. ერისთავისა.

მონაწილეობას ღებულობენ: ქ-ბნი აბაშიძე, დავითაშვილი, ლოლუა, ჩერქეზიშვილი, შოთაძე, ჯავახიშვილი. ბ-ნნი: ალექსი-მესხიშვილი, აბდუშელი, ალექსიძე, ბერიშვილი, გუნია, გამყრელიძე, გედევანოვი, ზარდალიშვილი, მესხი, მატარაძე, მგალობლიშვილი, სარაული, ციციშვილი, შალიკაშვილი.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე. ადგილების ფასი ჩვეულებრივია.

თეატრის დირექცია უმორჩილესადა სთხოვს მაყურებელთ ფარდის ახდამდე დასხდნენ თავ-თავის ადგილებზე და მოქმედების დროს დარბაზში აღარ შევიდნენ.

ანონსი: მზადდება წარმოსადგენად: „მთის ზღაპარი", „ევგინე", „ანტიგონე", „ციცინათელა", „ოჯახის ბურჯი", „სამ დედის შვილი", „გადაქრილი მუხა" და სხვ.

რეჟისორი **ვალ. შალიკაშვილი**.

ქართ. დრამატ. საზოგად. ადმინისტრაცია. (3.1498.3)

კ. ი. ზუბალაშვილის სახ. ქალაქის სახალხო სახლი.

ს. შაბათს, 18 ენკენისთვეს 1912 წ. ქართ. სახ. წარ. წრის მიერ წარმოდგენილი იქნება ცნობილი პიესა თანამედროვე ცხოვრებიდან

გამცემი

დრამა 3 მოქ. ი. გედევანიშვილისა.

მონაწილეობას ღებულობენ: ქ-ქ. მ. გოგოლაშვილი, გოდერძი, ბ. კორინთელი, ა. კახელი, ე. ციმაკურიძე, ბ. ბ. მ. ინაშვილი, ალ. მეტრეველი, გ. სვანელი, ალ. შანშიევი და ნ. ჭანკვეტაძე. **დასაწყისი სად. 8 საათზე.** ადგილების ფასი 5 კ—ან 50 კ—მდე. შემდეგი წარმოდგენა 23 ენკენისთვეს.

რეჟისორი **ალ. წუწუნავა**.

ადმინისტრატორი **გ. აბელოვი**. (2.1499.1) მორიგი წევრი გამგ. **დ. ბაქრაძე**.

საზაფხულო **ახალი კლუბი** თეატრი.

ორშაბათს, 17 ენკენისთვეს 1912 წ.

ჩვეულებრივად სინემატოგრაფი

და **საზანდარი**. იმღერებს გამოჩენილი მომღერალი მაჰმად-ალიევი ქართულ, სომხურ და სპარსულ ენებზე.

(1.1463.1) დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

კვირას, 16 სექტემბერს

ახალი კლუბის ბაღში

საზოგადოება **განათლება** მართავს

დიდ სეირნობას

ლოტარიით სინემატოგრაფით და სხვა და სხვა გასართობებით.

დასაწყისი 5 საათზე.

შესასვლელი ფასი დიდებისთვის 25 კ. პატარებისთვის 15 კ. (2—676—2)

ავლაბრის სახალხო თეატრი. (ყოფილი მურაშკოსეული)

ავლაბრის ქართულ სახ. წარმოდგ. მმართველი წრისა.

კვირას, 16 ენკენისთვეს, ავლაბრ. ქართ. სახ. წარმ. მმართველი წრის მიერ, ბ. ი. ივანიძის მონაწილეობით წარმოდგენილ იქნება:

ბაგრატ მეთორმეტე

ისტორ. დრამა 4 მოქ.

მონაწილეობას იღებენ წრის სცენის მოყვარენი. დასაწყისი საღამოს 8½ საათზე.

ბილეთები 50 კ—დან 4 კ—მდე იყიდება თეატრის კასსაში. ადმინ სტრ. წრისა. მორიგი გამგეობის წევრი ყარამანაშვილი. რეჟისორი **ი. ივანიძე**. (1—1484—1)

ტფილისის კერძო სამკურნალო

ძმენიევის ქუჩა, საკუთ. სახლი, № 7, მეტეხის სასტუმროს და მიხეილის პროსპექტ. ახლო

ტელეფონი № 590.

სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით, განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილება.

მწოლიარე ავადმყოფების მიღება შეიძლება ყოველ წამს, გარეშე მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი სპეციალისტი-ექიმები:

[illegible]	**ლამბაშიძე გ. დ.** (ყოველ დღე, გარდა კვირისა). 11½—12 საათ. **დბვითიანი რ. ს.** (ყოველ დღე) 1—2. **ქიქოძე ტ. ს.** (ორშაბათ. და ოთხშაბ.) 9—10. **მაღალაშვილი გ. გ.** (ორშაბ., სამშაბ. და შაბათობით) 10—12. **მანსვეტაშვილი გ. მ.** (ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ.) 2—3. **მიქელაძე შ. ა.** (ყოველ დღე) 12½—1. **ფედოროვი ე. გ.** (ყოველ დღე, გარდა ოთხშაბ. და კვირისა) 12—1.
[illegible]	**მარკევიჩი გ. ლ.** კონსულტატი (ორშაბ., ოთხშ. და პარასკ.) 11½—12½. **მელიქიშვილი ნ. მ.** (ყოველ დღე) 10—1. **ფირადოვი რ. ბ.** (ყოველ დღე) 12—1.
[illegible]	ექიმი-ქალი **ვერბიცკი-ფირადოვისა ლ.** (ყოველ დღე) 11—12. **მელიქიშვილი ნ. მ.** (ყოველ დღე) 10—1. **სულაკოვი ა. ი.** (ყოველ დღე) 12—1. **თიკანაძე ი. ე.** (ყოველ დღე) 1—2.
[illegible]	**ლამბაშიძე გ. დ.** (ყოველ დღ. კვირ. გარდა), 12½—12 ს. **მიქელაძე შ. ა.** (ყოველ დღე) 12½—1. **ფედოროვი ე. გ** (ყოველ დღე გარდა ოთხშაბ. და კვირისა) 12—1.
[illegible]	**გედევანიშვილი მ. ა.** (შაბათობით) 10½—11. **დბვითიანი რ. ს.** (ყოველ დღე) 1—2.
[illegible]	**ბოენიანცი ნ. ა.** (ყოველ დღე) 1—2. **ორემბოვსკი ნ. ს.** (ყოველ დღე) 2½—3.
[illegible]	**მუსხელიშვილი გ. ს.** (ორშაბათობით, ოთხშაბ. და პარასკ. 2—2½.
[illegible]	**მზარეულიშვილი შ. ი.** (ყოველ დღე) 1—1½.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი სამიკროქიმიო და საბაქტერიოლოგიო ლაბორატორია. სისხლის გასინჯვა, ათაშანგ. **Wasserman.** რჩევისათვის 50 კ., საწოლები 2 მ. დაწყებული. ცალკე ოთახი 5 მანეთიდან. მშობიარობა 10 დღე წოლით ღირს 40 მ. ოპერაციები, კოხსულიუმი, შარდის ბუშტისა და მილების კატეტერიზაცია; **,606'' წამლის შეშხაპუნება,** ელექტრონით წამლ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შეღავათიანი საფასურით. (წ. 110.108)

კ. ი. ზუბალაშვილების სახალხო სახლი

შაბათს, 15 ენკენისთვეს 1912 წ. სახ. სახლ. არსებულ ქართ. სახ. წარმმართველის წრის მიერ **ქ-ნ ეფ. მესხის** და **ბ-ნ ალ. იმედაშვილის** მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება:

,,წითელი მანტია''

დრ. 4 მ. ბრიესი, თარ. ი. პოლუმორდვინოვისა.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი ა. კახელი, გოდერძი, ეფ. მესხი ს. რომანიშვილი—დგებუაძისა, ბ. ტანელი. ბ. ბ. გ. ანაშვილი, არშაკუნი, მ. ბაქრაძე, ნ. გოცირიძე, ილ. ზურაბიშვილი, ალ. იმედაშვილი, ვ. იაშვილი, ალ. მეტრეველი, ალ. ნარი, ს. რომანიშვილი, გ. სვანელი, რ. სალაყაია, ალ. შანშიევი, ნ. ჭანკვეტაძე, მ. ჭიაურელი.

დასაწყისი სად. 8 საათზე. ადგილების ფასი 5 კ-ან 50 კ-მდე.

რეჟ. ალ. წუწუნავა. მორიგი წევრი გამგეობ. **დ. ბაქრაძე.**

ადმინისტრატორი **გ. აბელოვი.** (2—1499—2)

ქ. შ. წ. კ. გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობა

იწვევს გამოცდილ მასწავლებლებს

ატენისა (გორის მაზრაში).

და შრომის (სიღნაღის მაზრაში) სკოლებისათვის. მასწავლებელს ექნება ჯამაგირი 360 მან. წელიწადში, ბინა და შეშა. თხოვნები მიიღება მხოლოდ 20 ენკენისთვემდის. (2.1506.1)

ქ. გორში

ე. თარხან-მოურავის ქალთა სახელოსნო სკოლა

ამით აცხადებს,

რომ 20 მარიამობისთვიდან დაიწყო მიღება. 12 წლ. ნაკლები არ მიიღება. 12 წელზედ ზემოდ წლოვანობა განსაზღვრული არ არის. უპირატესობა ეძლევა წერა-კითხვის არ მცოდნეს. აქვე მიიღებიან მოწაფენი ბინითაც. დაწვრილებით პირობების გაგება წერილობით და პირადად. მისამართი: სამეფო ქუჩა, ერისთავის სახლში № 18. (6.1491.2)

გაზეთი კახეთში.

16 სექტემბრიდან **ქ. სიღნაღში** და მოვა **კ. ი. ტყავაძის** რედაქტორობით ყოველ - დღიური (ჯერ-ჯერობით მარტო კვირაობით) ქართული გაზეთი

ხმა კახეთისა

ფასი გაზეთისა:

	გაზეთის კანტორაში.	სიღნაღში დატარებით.	სოფლის აგენტებთან.	ფოსტით.
წელიწადში	— 1 მ. 10 კ.	1 მ. 40 კ.	1 მ. 40 კ.	2 მ. 20 კ.
1 იანვრამდე	40 „	50 „	50 „	80 „
ერთი თვით	10 „	12 „	12 „	20 „

ცალკე ნომერი ყველგან 3 კაპ.

რედაქცია და კანტორა იმყოფება წმინდა-სტეფანეს ქუჩ., № 22, სახლი ი. ტყავაძისა.

(3·1466.4) ფოსტით მისამართი: **ქ. სიღნაღი. კ. ი. ტყავაძეს.**

კვირას, 16 ენკენისთვეს, გამოვა ყოველ კვირეული საზოგადო - ეკონომიური და სალიტერატურო ჟურნალი

კლდე

რედაქცია იმყოფება:

ტფილისი, გაბაანთ შესახვ., № 3 რედაქცია „კ ლ დ ე"

წლიური ფასი . . . . 5 მან.

ამა 1912 წლ. დამლევამდე . . . 1 „ და 50 კ.

თვეში . . . . — „ 50 კ.

(სოფლის მასწავლებელთ, სამკითხველოებს და უმაღლეს სასწავლებლებში მოსწავლეთ დაეთმობათ 4 მანეთად).

რედაქცია ღიაა ყოველ დღე 11—1 საათამდე. (5.1495.5)

ქ. შ. წერა-კითხ. გამ. საზოგ. წიგნის მაღაზიაში

იყიდება შემდეგი სახელმძღვანელოები:

ჩვენი მწერლობა, (მგოსნები), ს. გორგაძე . . . ფასი	50 კ.
გუთანი, ოჯახში და სკოლაში საკითხავი	85 „
მოძრავი ანბანი—კარდონზე	30 „
ანბანი კუბიკებზე . . .	1 მ.—
წყარო, ა. ქუთათ. მოსამზადებ. კლ, II, ...	50 „
წყარო, იმსივე, ანბანი და პირველ საკითხავი . . .	25 „
არითმეტიკული კრებული ხრამელაშვილისა I, ყდით .	40 „
იგივე ნაწილი II, ყდით .	50 „
მოკლე სახელმძღვანელო საზოგად. გეოგრაფ.—აზია, აფრიკა, ამერიკა და ავსტრალია	35 „
მოკლე სახელმძღვ. საზოგად. გეოგრაფიისა, ევროპა . .	35 „
მოკლე საუბარი, თუ როგორ უნდა ისწავლებოდეს პირ.-დაწყებ. კარი გეოგრაფ. ალ. ჭიჭ.	20 „
ფიზიკური გეოგრაფია . .	20 „
ქართ. წმინდანები, სასულიერ. სასწავლებლებისთვის იოსელ.	50 „
ყუბანეიშვილი. პირ.-დაწყ. სწავლება სალვთო სჯულზე, ყდ.	30 „
ახალი აღთქ. საღმ. ისტ., მისივე	40 „
ძველ. აღთქმ. საღმ. ისტ. მისივე	50 „
ქართ. წერ. რვეულ. წ. კ. გამოცემა წყვილი	5 „
ათასამდე ყოველი ასის ფასი	2 მ. 40 „
ათასზე მეტი ყოველი ასი	2 მ. 30 კ.

ადრესი: Тифлисъ, О-во распр. Гр. ср. гр. насел. (წ. 1141.123)

სასტუმრო

უნივერსალი

(ძველად ,,მუხრანის ნომრები'') **ტფილისში, გოლოვინის პროს.** სახელმწიფოს და კერძო დაწესებულებათა შუაგულში; ნომრები ახლადაა გადაკეთებული მშვენივრად; დიდად სახეირო ცოლშვილიანებისათვის. ფაქიზი სისუფთავე, ზრდილობიანი და სხარტი მოსამსახურენი. როგორც კაცები ისე ქალები; ელექტრონული განათება, ცხელი და ცივი ვანები. გვაქვს ორ-ორი და სამ-სამი ოთახი, ფანჯრები და აივანებიც ქუჩის მხარეს აქვთ. ნომერი 80 კ.—5 მანეთამდე ღირს დღე-ღამეში, თვიურად 15 მან. 80 მანეთამდე. თვიურ მდგმურებს დიდ შეღავათს ვაძლევთ ქირაში. **ტელეფ. № 499.** (25·1484.)

მიიღება ხელის მოწერა

,,მოლიკულ გზაზე''

ანასტასია ერისთავ-ხოშტარიასი.

(რომანი)

600 გვერდამდე კარგ ქაღალდზე დაბეჭდილი წიგნი ხელის მოწერით ეღირება, მხოლოდ **ერთი მანეთი**, შემდეგ კი ფასი ერთი-ორად იქნება გადიდებული. შეიძლება დაკვეთა: ტფილისში—ქ. შ. წ. კ. გ. საზოგადოების წიგნის მაღაზიაში; ქუთაისში—კანტორა ,,იმერეთში'' და ი. მთავრიშვილის წიგნის მაღაზიაში; გორში—გაზეთ ,,ქართლის'' კანტორაში და ი. კვალიაშვილის აფთიაქში, აგრეთვე კანტ. ,,იმერეთის'' ყველა პროვინციელ აგენტებთან და ქართულ წიგნების დამტარებელ ი. კერესელიძესთან. **ადრესი:** Гори, Анастасіи Хоштарія. (ამ შემთხვევაში ფულის გამოგზავნის გასამართლებელ საბუთად საკმარისია თვით ფოსტის კვიტანცია). (25—456—21)

შეიძლება დაკვეთა:

ილია ჭავჭავაძის თხზულებანი

ექიმ მიხეილ გედევანიშვილის საგანგებო გამოცემა

წიგნი დაიბეჭდება ძვირფას ქაღალდზე; ილიუსტრაციებით; ძვირფასი ყდით; შეიცავს დაახლოვებით 600 გვერდს; მოთავსებული იქნება ყველა

ლექსი და ბელეტრისტული ნაწარმოები,

(აგრეთვე ჯერ დაუბეჭდავიც); ჩაერთობა მგოსნის ვრცელი ბიოგრაფია და მისი ნაწარმოებების კრიტიკული განხილვა. ფორმატი in quarto.

ფასი 8 მანეთი, რომლის გადახდა შეიძლება სამ ნაწილად; 3 მან. ხელის მოწერისთანავე, 3 მ. ენკენისთვეში და 2 მ. გიორგობისთვეში. ვინც 100 ცალზე ნაკლებს არ გამოიწერს, 10% დაეთმობა. გასასყიდად წიგნი არ გამოვა. დამკვეთელთ წიგნები დაურიგდებათ 1913 წელში.

წიგნის დაკვეთა შეიძლება: ტფილისში, ყორღანოვის ქუჩა, № 20, **ექიმ მიხეილ გედევანიშვილთან; და წერა-კითხვის საზ. წიგნის მაღაზიაში.**

ტფილისში აგენტად დანიშნულია ნიკოლოზ ლონგინოზის ძე კავსაძე.
ქუთაისში—წ. კ. ს. მდივან იასონ ბაქრაძესთან და იოსებ ოცხელთან.
ფოთში—იონა მეუნარგიასთან.
სამტრედიაში—ბ. ი. სტურუასთან.
სიღნაღში—ექ. ჯანდიერთან.
სოხუმში—ნიკო თავდგირიძესთან.
ჭიათურაში—წ. კ. გ. ს. ირ. დეკანოზიშვილთან.
თელავში—თამარ აბაშიძესთან.
ხონში—ეფროსინე ჭიჭინაძესთან.
ბაქოში—ილია აგლაძესთან.
ოზურგეთში—ექ. დიმ. ერისთავთან.
ერევანში--ელენე ვირსალაძესთან
ბათომში—ს. მდივანთან. კავკავში—სოფიო კალანდარაშვილთან.
გორში—ნიკო ლომაურთან. ახალციხეში—როზალია ალელიშვილთან

ვინც წიგნის დასაკვეთად ფულს ფოსტით თვით გამომცემლის სახელზე გზანის, მათთვის გასამართლებელ საბუთად საკმარისია თვით ფოსტის კვიტანცია. (3—153—3)

— საკანდიტრო და საგულკო —
გრიგოლ საგანელოვისა

პუშკინის ქუჩაზე

აუწყებს პატივცემულ საზოგადოებას, რომ აგვისტოს ოცდა-სამიდან საკანდიტროსთან გავხსენით

საყავე,

სადაც შეიძლება მოიკითხოთ ჩაი, ყავა, შოკოლადი, კაკაო, რძე, მაწონი, ნაყინი, ცხელ-ცხელი პიროჟკები და მადნეულიანი წყალი. (3—1469—3)

„ტფილისის ქართულ საამხანაგო

მომღერალ-მგალობელთა გუნდი",

(დაარსებული 1910 წ.)

აუწყებს პატივცემულ საზოგადოებას, რომ მას ჰყავს **25—50 კაცამდის შემდგარი, ახლად შეკერილ საკუთარ ქულაჯებით გამოწყობილი გუნდი,** რომელსაც ლოტბარობს **მიხეილ კავსაძე.** გუნდი **1 ენკენისთვიდან** განაგრძობს თვის მოქმედებას: ასრულებს საქართველოს ყველა კუთხის სიმღერებს და ეკლესიურ გალობას, მონაწილეობს კონცერტებში, სამუსიკო დილა-საღამოებზე და სხვ. როგორც ტფილისში ისე პროვინციებშიაც. გუნდის მიწვევა, ახალ წევრთა მიღება და ყოველივე პირობების გაგება იკითხეთ: 1. გუნდის გამგეობის თავმჯდომარე **ნიკოლოზ ჭრელაშვილთან,** სადგ. მახლობ. ანდრეევის ქ., № 87. 2 მის ამხანაგ **ნოე ეგნატეს ძე ლეჟავასთან,** კვირაცხოვლის ქ., № 28, და 3. **მიხეილ კავსაძესთან,** ავჭალის მოედანი № 11.

ვაარსებთ ქართველ მუშათა მომღერალ გუნდსაც.

(10.1449.9) **გუნდის გამგეობა.**

გამოსულია და იყიდება

ნ. შიუკაშვილის

პიესა **,,მემონობა'',** დრამა 4 მოქმედებ. ფასი 30 კაპ.

საგურთალოზე

მშვენიერ ალაგას,

ახლად აშენებულ ეკლესიისა და დიდუბის მომავალ ხიდის იახლოვლად დაიჭრა 20 დესეტინა მამული და იყიდება წვრილ ნაჭრებად ხელმისაწვდენელ ფასებში.

მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ ოლღას ქუჩაზე, სახლი № 6, სოლომონ ივანეს ძე **თაქთაქიშვილს,** დილის 8 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. საღამოს 5 საათიდან 8 საათამდე. უმორჩილესად ვთხოვთ მიწის მყიდველებს, რომ **თავის დროზე შემოიტანონ დარჩენილი ვალი,** თანახმად ჩვენგან მიცემულ კვიტანციისა. (წ. 1020 382)

მედიცინის დოქტორი

ი. ბ. ჩუდნოვსკი

სინჯავს შინაგან და ნერვებ აშლილ ავადმყოფებს ყოველდღე დილის 9 საათიდან 11 საათ. და საღამოს 5-დან 8 საათამდე.

კიროჩნი ქუჩა, სახ. № 18, ტელეფონი 1090. (6—1500—2)

ექიმი ე. ვაშაკიძე

იღებს შინაგან სნეულ. ავადმყოფ. დილის 9—3 საათ., საღამოს 7 ს., ბაქოს ქუჩა, № 12.

ნაფიცი ვექილი

ლუკა ლუკას ძე

ბახტაძე

გადავიდა კლასიკურ ქუჩაზე, სახ. **№ 14.** (3—678—1)

კბილის ექიმი

მამულაიშვილი-ხოდნევისა

წამლობა, პლომბის გაკეთება ფაიფურით და ოქროთი. კბილის ამოღება უტკივილოდ. ოქროს კბილების ჩასმა და მკვიდრი პლომბი (კორონკები). ხელოვნური კბილები პლასტინკით და უპლასტინკოდ. რეგულიაცია (ახალი სისტემის პლომბი, რომელიც არ იშლება და არ ვარდება).

მიღება დილით 8—2 საათამდე, საღამოთი 5—7 საათამდე. ოლგას ქუჩა № 20, ბინა—5. (25—1504—1)

დოქტორი მედიცინისა ბერლ. უნივერს

გ. გ. მეგრაბიანცი

დაბრუნდა და კვლავ განაგრძობს ავადმყ. მიღებას. შინაგ. ავადმყ., ავადმყოფობ. ფილტვ.—ტუბერკულ. და გულისა. იღებს ყ.-დღ. დილის 9—12 ს. და საღ. 5—7 საათ. ადრესი: ფრანგ. ბ. ქ., № 10. ტელეფ. 7—92. (25.1497.4)

ელექტრონისა და რენტგენის

სამკურნალო

მიხ. გედევანიშვილისა

ავადმყოფებს იღებს ყოველ-დღე დილ. 12—1 ს., საღამოს 6—7 ს., გაშინჯვა და გადაღება რენტგენის სხივებით. ვერა, ყორღანოვის ქ. № 20. (წ.—1022—87)

ექიმი შ. ა. მიქელაძე

იღებს **შინაგან და ბავშვთა სნეულებიან** ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5 ნახ.—6½ საათ. კაპელის ქ., № 6

ვაგზლის კერძო
სამკურნალო
გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.
ვაგზლის ქუჩა, № 8. ტელეფონი № 695.
ე. ს. ვაშაკიძე. ყოველ დღე, შინაგან ვადმყ. $9^{1}/_{2}$ ს. 10 ს,
ა. ნ. დიასამიძე ყოვ. დღე, კვირ. გარდა. სიფილ, კანისა და ვენერ. 11 12 ს.
ბ. ა. ბოპოთვა ყოვ. დღე, კვირ. გარდა ყელ, ყურ. და ცხვ. სნეულ. 11 $11^{1}/_{2}$.
შ. ა. მიქელაძე შინაგან და ბავშვთა ავადმყ. 1 2 ს.
ნ. ზ. მელიქიშვილი. ქირურგიული და ქალთა ავადმყ. 1 2 ს.
მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური-ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.
ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით,
წამლობა „606“-ით.
(ტ—1018—76).

სამკურნალო
სპეციალისტ სამხედრო ექიმებისა გარედან მოსიარულე ავადმყოფთათვის. ვანქის დიდ ქ.-ზე, № 3, ალექსანდრეს ბაღის მახლობლად.
ტელეფონი № 483.
ფასი რჩევისათვის 50 კაპ.
ავადმყოფთა მიღება $9^{1}/_{2}$-დან 5 ს.-დე.
ასპისოვი, ცხვირ., ყელ. და ყურისა. ყოველ-დღე. 1—2 საათამდე.
არგუთინსკი, შინაგ., ბავშვ. ყ.-დ. 10 ს. $1^{1}/_{2}$ ს.
მონსე. ბავშ. და შინაგ. ავად. ორშ., ოთხ პარასკ. 2—3 საათ.
ნოვიცკი. ქალთა ავად., ყ.-დ. 1—2 ს.
კალამკაროვი. ქალ. ავად. ყ.-დღ. 12—1 სათ.
უკლადნიკოვი. შინაგ. ავად. სამშ., ხუთშაბ. 4—5 საათ.
თეთრაძე. სიფ., ვენერ., კან. ყ.-დ. 1—3 ს.
ჩუდნოვსკი ი. ნერვ., სულ., ელექტროტერაპია, ყ.-დღე გარდა კ.-უქმისა $11^{1}/_{2}$—$12^{1}/_{2}$
რუდენკო. შინაგ. ავად. კონსულტანტი ხუთშ., კვ. 3—4 ს.
ვესელოვზოროვი ქირურგ. ავად. ყოველ დღე, გარდა კვირ. დღ., 2—3 საათ.
ერმოლაევი ბავშვ., შინაგან. ყ.-დღ. 1-2 ს.
ტერ-ნერსესოვი. ქირურგ. ყოველ დღე გარდა ხუთშ. 1—$1^{1}/_{2}$ ს.
იოსელიანისა ქალ. ავად., ორშ. ოთხშ., პარასკ., კვირ. 11—12 საათ.
ბესსერი შინაგ., ნევრ.-ავადმ. — სამშ., ხუთშ., შაბ. კვ. 2—3 ს.
ბაგდოევისა, კბილ. ყ.-დღე 3—5 ს.
ლიმონი. კბილ. ყ.-დღ. 10—11 ს.
კუნთებში შეუშხაპუნებენ და ძარღვებში შეუშვებენ „606“-ს
საღამოს 5—7 საათამდე.
კონსულტანტი ხირურგ. ავადმყ. დამსახურ. პროფეს. საიმპერ. სამხ. მედიკ. ავად. პროფ. მ. ს. სუბოტინი ორშ., ხუთშ. 3—4 საათ., წინდაწინვე ჩაწერით. (ო—366. 264)

ექიმი ი. ი. ბერიშვილი სწამლობს **საზარდე** ორგანოთა, **ათაშანგისა და კანის** ავადმყ.; **ვასსერმანის** რეაქციით იკვლ. ათაშანგ. ძოწამლ. სისხლს. მიღება ნაშუადღ. 3—$5^{1}/_{2}$ ს. **ელისაბედ.** ქ., № 94, საფოსტო განყოფი. პირდაპირ. (25—1178—909)

ექიმი კბილისა და ღრძილებისა ჰ. ა. ქაჯაია
იღებს ავადმყოფებს დილით 8—2 ს. საღამოთი 3—7 საათამდე. ელისაბედის ქუჩა, № 151. დიდუბე [illegible]

ექიმი ს. ი. გძელიშვილი
შინაგნეულობისა და ვენერიულ ავადმყ. დილ. 9—11 საათ., საღ. 6—8 საათ. დიდუბე, საგურამოს ქ., (მუშტაიდის ბაღის შუაგულიდგან მარჯვნივ), № 21, ხრამელაშვილის სახლი. დღისით: 2—4 საათამდე ბაროთიაა და ბაზრის ქუჩის კუთხე, № 13. (0—1411—4)

ნაფიც ვექილის თანაშემწე
გიორგი თ. ქიორდანია
დაბრუნდა ტფილისს და იღებს სისხლის სამართლის და სხვაგვარ საქმეებს.
მისამართი: ტურგენევის ქუჩა, სახლი № 2. (3.669.3)

ექიმი ი. ე. ჯაშის კაბინეთი
ამბულატორიით. მიიღებს შინაგ., ღედ. და სალოსტაქრ. ავადმყ. დილ. 8—11 ს. და ს-ღ. 5—8 ს. დიდვანქის ქ., № 6. წინანდელი სადეპეშო კანტორა. (25.1480.8)

ექიმი ქალი კბილისა ნინო რცხილაძე
20 ივნისიდან მიიღებს ავადმყოფებს **ქ. თელავში** 3—9 საათამდე

ექიმი ალ. სოლოღაშვილი
იღებს ავადმყოფებს 9—2 საათ. და 5—4 საათ. გოლოვინის პრ. № 12. (თ.1334.12)

ექიმი ქალი დ. გ. საყვარელიძე.
იღებს ავადმყოფებს ქალისა და საბებიო. ნაშუადღ. 1—2 ს., საღამოს 5 6 საათამდე.
კიროჩნის ქუჩა, № 9. (25.595.22)

ექიმი პ. არდაზიანი
შინაგან და ბავშვებ. ავადმყ. (სპეციალ. ფილტვებ. სნეულ. რევმატიზმიქარები) ტფილისი, ალექსანდროვის ქუჩა, № 3. 11—2 ს. საღამ. 5—7. (25.40.5 195)

ვინ არის ვლადიმერ მიქელაძე.

2.

სანამ თავ. ვლ. მიქელაძის „პროგრამაზე“ გადავიდოდეთ, გვინდა მკითხველის ცოტაოდენი ყურადღება მივაქციოთ, თუ ვინ არის ვლ. მიქელაძე თავისავე დახასიათებით. უპირველესად ყოვლისა, თავ. ვლ. მიქელაძე ის არის, რომელმაც „ოცდაორი წელიწადი იმუშავა“. ვერაფერი საბუთია, თუ ზედ იმასაც არ დავუმატებთ, თუ **როგორ** იმუშავა მან. თავ. ვლ. მიქელაძეს მოღვაწეობის ისტორიას რომ ვსწერდეთ, ადვილად დავრწმუნდებოდით, რომ იგი არც იმდენად ნაყოფიერია, რამდენადაც თითონ მოაქვს თავი. მაგალითისთვის შეგვეძლო აგვეღო სასოფლო-სამეურნეო ბანკი, რომელმაც სწორედ ვლ. მიქელაძის დროს გადაუხვია თავის პირდაპირ დანიშნულებას და სწორედ ვლ. მიქელაძემ ჩააყენა ისეთს კალაპოტში, რომ მისი განვითარება შეუძლებელი გახდა. ვლ. მიქელაძის ფინანსიური ნიჭი და უნარი სწორედ ამ ბანკში მოღვაწეობის დროს გამოჩნდა. დაწვრილებითი განხილვა მისი მოღვაწეობისა აქ დაოგში ჩვენს პირდაპირ მიზანს ძალიან დაგვაშორებდა, და ამიტომ ისევ იმავ „წიგნაკს“ დავუბრუნდებით, სადაც თავ. ვლ. მიქელაძე თავის მოღვაწეობას მოგვითხრობს.

„ტფილისში ჩემს ყოფნაში,—სწერს ვლ. მიქელაძე თავის შესახებ,—დღე არ იქნებოდა, ოთხი ხუთი მთხოვნელი არ მოსულიყო ჩემთან. ზოგი რკინის გზაში მთხოვდა ადგილი მიშოვეო, ზოგი კანტორებში, ზოგი კანცელარიებში, ზოგი ქალაქის სკოლებში, ზოგი სუდში (ეს „სუდი“ რაღაა?) და ზოგი პოლიციაში. ტრაბახად და თავის ქებად ნუ ჩამომართმევთ და ას კაცზე მეტი იქნება, რომელთათვისაც ამ ოცდა ხუთის წლის განმავლობაში ადგილი მიშოვნია, და ლუკმა პური გამიჩენია“. (საინტერესოა ვიცოდეთ, რაიმე ადგილებსა და წყალობას ხომ არ დაჰპირდა თავ. ვლ. მიქელაძე იმ „პროგრესისტებს,“ რომლებმაც მისი კანდიდატურა წამოაყენეს?).

დიდებული ნიმუშია მოქალაქობრივობისა და პოლიტიკურ მოღვაწეობისა! ამას ადგილი უშოვნა, ის „სუდში“ გამწესა, ეს „პოლიციაში“. პოლიტიკოსობის უკეთესი ატესტატი პურიშკევიჩსაც არ ექნება! მაგრამ ყველა ეს ცოტაა. აბა კიდევ მოისმინეთ:

„ჩემს სამშობლოში ოცდა ორი წელიწადი გავატარე, ავად თუ კარგად, როგორც ზევითა ვსთქვით, ვემსახურე. მერე რუსეთის ბანკების სამასმა წარმომადგენელმა მთხოვა და ამირჩია პეტერბურგში გადმოდიო, ბანკის დირექტორობა მომანიჭეს და ათი ათასი მანეთი მომიმატეს იმ ჯამაგირზე, რომელიც ტფილისში მქონდა. ამ დიდსა და მაღალ პატივისცემას მე უარი ვერ ვყავი (ოლონდაც!). განა პეტერბურგში კი ჩემი ქვეყნისთვის უსარგებლო ვარ და ან ვიქნები? ახირებულია! თქვენ ერთი აბაზისთვის ეშმაკს ჯურღმულში ჩაჰყვებით და იქ კელაპტარს აუნთებთ და რატომ გიკვირთ ტფილისს პეტერბურგი ვამჯობინო და ხუთი ათასს მანეთს თხუთმეტი ათასი“.

ვლ. მიქელაძეს ესეც საბუთი ჰგონია. მაგრამ ამ „საბუთზე“ არ შეგვიძლიან შემდეგი არ ვუპასუხოთ: თუ თხუთმეტი ათასისთვის ტფილისი პეტერბურგზე გასცვალეთ, რა გარანტია არსებობს, რომ ასი ათასისთვის საქართველოს არ გაჰყიდით და მის ინტერესებს ზვარაკად არ შესწირავთ ოქროს, რომელიც თქვენ ეგრე ძალიან გყვარებიათ? თხუთმეტი ათასი მანეთი ხუთი ათასს მირჩევნია, და იმიტომ დავანებე თავი ტფილისსაო, ეს ისეთი საბუთია, რომ ამის მთქმელი დეპუტატობისა კი არა, იმისი ღირსიც არ არის, რომ რიგიანმა საზოგადოებამ გვერდზე გაიკაროს. ამისთანა ცინიზმით, ჰგონია, საარჩევნო ასპარეზზე ჯერ არავინ გამოსულა.

მაგრამ ეს საბუთი არც ისეთი უმნიშვნელოა, როგორც მკითხველს ერთის შეხედვით შეიძლება ეგონოს. ვლ. მიქელაძეს „პროგრამა“ რომ გადავათვალიეროთ, მისი მოთხოვნილებანი მემარჯვენე ოქტომბრისტთა მოთხოვნილებაზე შორს ვერ მიდის. ჩვენ მიწა-წყალს მოსხლეტილი თავ. ვლ. მიქელაძე ისევ ამოყურყუჟელავდა სწორედ არჩევნების წინ, რადგანაც ეხლანდელ. რეაქციონურ სულიერ განწყობილების იმედი აქვს. იგი არასოდეს პოლიტიკური მოღვაწე არა ყოფილა, არასოდეს პოლიტიკური საკითხები არ აინტერესებდა. ამოტივტივდა საარჩევნო ასპარეზზე მხოლოდ იმიტომ, რომ წრევანდელი არჩევნები ვლ. მიქელაძისთანა პირებს პოლიტიკურ ავანტიურისტებს, საშუალებას აძლევს სათათბიროს წევრად გახდნენ და დაიწყონ ხელის ფათური ისეთს საქმეებში, რომლებიც თხუთმეტ ათასებს აჰრაკუნებს და ერთი ორადა ჰხის. ვლ. მიქელაძისთანა კაცებისთვის საქართველო და მისი პოლიტიკური ბედ-იღბალი მხოლოდ დეკორუმია; ნამდვილად კი სული და გული იქითკენ მიისწრაფვის, სადაც ოქროს ბზრიალი ისმის. თავ. ვლ. მიქელაძე ცდილობს, რომ ეს დეკორუმი რაც შეიძლება ლამაზი და მიმზიდველი გამოვიდეს, მაგრამ მიზანს ვერ აწევს: მისი მისწრაფებანი და იდეალი გულის ზრახვანი მეტად ტლანქად მოსჩანან იმ წიგნაკში, რომელიც გამოსცა და რომელიც თავისდა საუბედუროდ დაურიგა ხალხს.

ბნელი დროა. პოლიტიკურ ავანტიურისტებსა ჰსურთ ქართველ ხალხის ზურგით თავის პირად ბედნიერებისკენ წავიდნენ, მაგრამ, იმედია, ჩვენი ხალხი, რომელსაც უკვე საკმაო გამჭრიახობა და შეგნება აქვს, მალე აუღებს ალღოს და შავს კენჭებს ჩაურახუნებს ადამიანს. ამათ ამომრჩეველი, სხვა საკითხთან ერთად იმასაც დაამტკიცებს, რომ იგი შეგნებულია და ადვილად თავს არავის მოატყუებინებს.

გ. ბარელი.

ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდან)

გაზ. „რეჩ“ მოჰყავს ერთი საარაკო ამბავი, რომელიც მშვენიერად ახასიათებს დღევანდელ საარჩევნო მიმართულებას. თვით „რეჩი“ საოხუნჯო ანეკდოტს უწოდებს ამ ამბავს, იმდენად უცნაური და დაუჯერებელია იგი:

„ვიტეგრის მაზრაში, ის პირები, რომელთაც წარმომადგენლობის სახით უფლება აქვთ სამაზრო საარჩევნო კრებაზე მონაწილეობისა (ე. ი. მღვდლები და წვრილი მესაკუთრეები) საარჩევნო სიით მხოლოდ 56 კაცია, რომლებიც სამ დამოუკიდებელ, წინასწარ კრებად ვაჰყავს: პირველში შედიან მღვდლები, მეორეში ისინი, ვისაც სრული ცენზის $^{1}/_{6}$ ნაკლები არ აქვთ, მესამეში კი—დანარჩენი წვრილი მემამულეები. ამ უკანასკნელთა რიცხვი ათ კაცს უდრის, მაგრამ მათი ქონება მხოლოდ $245^{1}/_{2}$ დესეტინას შეადგენს, ცოტათი ნაკლებს სრულ ცენზთან შედარებით (425 დეს.) ამის მიზეზით, მათი კრება არაოდეს არ შესდგება, თუგინდ ყველა ამომრჩევლებიც რომ გამოცხადდნენ; ამნაირად ხსენებული მაზრის წვრილი მემამულეები პირდაპირ მოკლებული არიან საარჩევნო უფლებას. ასეთი მოვლენა მარტო ვიტეგრის მაზრაში არ ხდება. ორენბურგ. გუბ. ორსკის მაზრაში ცალკე კურიად გამოჰყვეს მღვდლები, რომელნიც ერთ სრულ ცენზსაც ვერ შეადგენენ“.

ახალი ამბავი

ტფილისი

◆ **კავკასიის ნამესტნიკს წარუდგა** 13 სექტემბერს კავკასიის მუზეუმის დირექტორი პოლკოვნიკი კაზნაკოვი.

◆ **სახალხო სახლი ნაძალადევში.** ქალაქის გამგეობამ გუბერნატორს დასამტკიცებლად წარუდგინა ქალაქის საბჭოს დადგენილება, რომლითაც სიფხიზლის საზოგადოებას ნაძალადევში 1.500 ოთხკ. საჟენი საქალაქო მიწა უფასოდ ეთმობა სახალხო სახლის ასაგებად.

◆ **სეირნობა მუშტაიდში.** დღეს, 16 სექტემბერს და ხვალ, 17 სექტემბერს მუშტაიდში გაიმართება სახალხო სეირნობა. ბაღში შესვლა უფასოა. შემოსავალი გადაიდება ტფ. ჟურნალისტთა საზოგადოების სასარგებლოდ.

◆ **კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველი** რუდოლფი, რომელიც თემირ-ხან-შურა-ში იმყოფება, ტფილისში 25 სექტემბერს დაბრუნდება, რათა 26 სექტემბერს ტფ. რეალურ სასწავლებლების ახალ შენობის კურთხევას დაესწროს.

◆ კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველის განკარგულებით, საშუალო სასწავლებლების **მოსწავლეთ, ნება არა აქვთ, ქუჩაზე საქალაქო სკამებზე ჩამოსხდნენ.**

სამლოცველო ვაგონის კურთხევა. დღეს, ნაშუადღევის 1 საათზე, ტფილისის სადგურზე, სალოცველო ვაგონს აკურთხებენ. ამიერ-კავკასიის რკინის გზის უფროსისაგან კურთხევაზე მიწვეულნი არიან საქართველოს ეგზარხოსი ინოკენტი, კავკასიის ნამესტნიკი და სხვანი.

◆ **მებამბეობის გამოკვლევა.** მიწათმოქმედების დეპარტამენტის დავალებით კავკასიას ესტუმრება დეპარტამენტის მესამე განყოფილების უფროსი ა. ა. კნიზე, რომელიც განჯისა და ერევნის გუბერნიაში მებამბეობის საქმის მდგომარეობას გამოიკვლევს. ა-ნი კნიზე დაესწრება აგრეთვე მებამბეთა კრებას, რომელიც ტფილისში 1 ნოემბერს დაიწყება.

◆ **წესიერი დასვენება.** დღეს, 12 საათზე, ქალაქის გამგეობის სადგომში, კერძო კრება ექნებათ ქალაქის საბჭოს ხმოსნებს წესიერ დასვენების ახალ დადგენილებათა შეცვლის საკითხის განსახილველად.

◆ **ქალაქის გამგეობას** საბჭოში წინადადება შეაქვს, რათა ხმოსანი შ. ვ. ალექსი-მესხიშვილი ქალაქის საბჭოს საიურიდიო კომისიაში ჩაირიცხოს.

◆ **სეირნობა.** დღეს „სპორტის“ ბაღში (მიხეილის ქუჩა) სეირნობა გაიმართება „ისლი“-ს საზოგადოების სასარგებლოდ. დასაწყისი ნაშუადღევს 4 საათზე.

◆ **სასანიტრო [illegible] დათვალიერება.** ამ დღეებში ქალაქის სასანიტარო [illegible] ათე უბანში სავაჭრო დაწესებულებანი დაათვალიერა. სეილანოვის თამბაქოს ქარხანა მეტად უსუფთაო მდგომარეობაში აღმოაჩინა და სეილანოვს შესაფერი ოქმი შეუდგინა. ბარსეგ მარტიროზოვის ჩაი (ანდრეევის ქ., 83) სულ დაკეტა, რადგანაც მეტის მეტად უსუფთაო აღმოჩნდა. ენფიანჯიანცის თამბაქოს ქარხანა სუფთად აღმოჩნდა.

◆ **წყლის აუზში დამხრჩალი ბავშვი.** 13 სექტემბერს კრწანისისკენ მდებარე ნავტიკოვის ბაღში, დაიღრჩო 4 წლის ვაჟი მებაღის ალექსი თევდორის ძის ჯიკიასი, სახელად მიხეილი

◆ **თავის ჩამოხრჩობა.** 15 სექტემბერს, ფოსტალიონ ალექსანდრე ვოზნესენსკის ბინაზე (ოსიპოვის მიხვევი, 12) თავი ჩამოიხრჩო ვოზნესენსკისთან სტუმრად მყოფმა, კავკაიის მცხოვრებმა, პეტრე იევდოროს ძე ხუნკომ (55 წლისამ). თავის მოკვლის მიზეზი არ იციან.

◆ **„ნაკადული“.** რედაქციამ მიიღო საყმაწვილო ჟურნალ „ნაკადული“-ს სექტემბრის ნომერი (17). ჟურნალში, სხვათა შორის, მოთავსებულია ი. ევდოშვილისა და ალ. შანშიაშვილის ლექსი.

◆ **ლექცია.** დღეს, საღამოს 8 საათზე, გაიხსნება საზოგადო კლუბი (აბას-აბადის მოედანი, სომხეთა საქველ-მოქმედო საზოგადოების სახლში) ი. ი. აიხენვალდის ლექციით კნუტ ჰამსუნზე.

◆ 4 თებერვალს (1912 წ.) ქ. ჩერეგხოვოში (ირკ. გუბერ.) **თავი მოიკლა** პოლიტიკურმა გადმოსახლებულმა (ტფილისიდან) **მიხეილ ჯიქიამ.** ქლექმა და ნივთიერმა გაჭირვებამ მიიყვანა ამ ზომამდე. დასაფლავებას მრავალი ხალხი დაესწრო. სიტყვები წარმოითქვა.

◆ ქართულ სამეურნეო საზოგადოების **ინსტრუქტორთა მოღვაწეობა.** ქართულ სამეურნეო საზოგადოების ინსტრუქტორმა გიორგი ნახუცრიშვილმა გაზაფხულიდანვე მდ. ლიახვის მარჯვენა და მარცხენა ნაპირზე 12 სოფელში ხალხის საჩვენებლად უწამლა საზოგადოების ხარჯით ხილის ბაღებს. მოგზაურობის დროს მცხოვრებლებს აძლევდა აგრეთვე ყოველგვარ დარიგებას, წამლობამ რასაკვირველია ჯეროვანი სარგებლობა მოუტანა ხეხილებს. იმედია მისი შრომა ნაყოფს გამოიღებს და მემამულენიც მომავალში თითონ გაუმკლავდებიან თავიანთ ბაღების მრავალგვარ სენს.

◆ 13 და 14 სექტემბერს ტფილისში 102 უპასპორტო შეიპყრეს.

◆ ს. უსტ.-უდაში (ბალაგონის მაზრა, ირკუტსკის გუბერნია), ქლექით გარდაიცვალა პოლიტიკ. გადასახლებული **ვლ. იოსების ძე იაშვილი.** დასაფლავებას მრავალი ხალხი დაესწრო, სიტყვები წარმოითქვა.

უცხოეთის მიმოხილვა

დაუსრულებელი ომი და გაჭიანურებული სამშვიდობო მოლაპარაკება. ოსმალეთის გაჭირვებული მდგომარეობა: ალბანეთის აჯანყება და მაკედონიის საკითხი. ავსტრიის განზრახვა და ბალკანეთის პატარა სახელმწიფოთა მისწრაფებანი. სამთა კავშირი და სამთა შეთანხმება. კონგრესის ხანა. ახალი დამოუკიდებელი სახელმწიფო. ოპოზიციის ბრძოლა უნგრეთის პარლამენტში.

აგერ ერთი წელიწადი სრულდება მას აქეთ, რაც პირველმა ზარბაზანმა ქვეყანას აუწყა ოსმალეთ-იტალიის ომის დაწყება. ამ ხნის განმავლობაში ორივე მოპირდაპირე მხარე დიდი მამაცობით ატრიალებს იარაღს, მაგრამ, მიუხედავად ამისა, თვალსაჩინო შედეგისათვის ვერც ერთს ვერ მიუღწევია. ტრიპოლიტანიაში, რომელიც ომის უმთავრეს ასპარეზს წარმოადგენს, მტრებს თითქმის ისეთივე პოზიციები უჭირავთ, როგორიც ბრძოლის დაწყების პირველ ხანაში ჰქონდათ. შედარებით ძლიერი იტალია, ომის ასპარეზის ადგილმდებარეობისა და ჰავის მიხედვით, სანაპიროებს ვერ გასცილებია და მხოლოდ იქიდან ებრძვის თავისი ფლოტის ძლიერი არტილერიის შეოხებითა და დახმარებით. ხოლო ტრიპოლისს ზღვით მოწყვეტილი ოსმალეთი ადგილობრივ მცხოვრებ არაბთა შემწეობით უძლავდება მტერს, რომელსაც საარაკო თავდადებით ებრძვის ოსმალეთის რევოლუციის ცნობილი გმირი, მაიორი ენვერ-ბეი. როდესაც იტალიამ ომის დაწყებისაკენ პირველი ნაბიჯი გადადგა, იგი ერთი დაკვრით ფიქრობდა შინაგანი განხეთქილებით დაუძლურებული ოსმალეთის გატეხას; ვარაუდობდა, რომ ქ. ტრიპოლის აღებისთანავე ოსმალეთი ზავის ჩამოგდებას მოითხოვდა და საქმეც სულ მოკლე ხანში გათავდებოდა, მაგრამ ანგარიში გაუცრუვდა: ვერ გაითვალისწინა ის მნიშვნელოვანი გარემოება, როგორისაც მაჰმადიანთა ფანატიზმი წარმოადგენს. სწორედ ეს მოულოდნელი დაბრკოლება გადაელობა წინ მის ძლევამოსილ ლტოლვილებას და სასწრაფოდ ნაანგარიშევი ომი უნებურად გაუგრძელა. მეტია იმის შესახებ ლაპარაკი, თუ რამდენად საზარალოა ომი დღევანდელს პირობებში. ამ ჟამად, დიდი მსხვერპლისა და ხარჯის შემდეგ ორივე მეომარი მხარე ნატრობს ზავის ჩამოგდებას და ამ მიზნით არაოფიციალური მოლაპარაკებაც კი სწარმოებს შვეიცარიის ერთს პატარა ქალაქში. სამშვიდობო თათბირს თითქმის რვა თვის ისტორია აქვს, მაგრამ ჯერ-ჯერობით ვერც ერთ მხარეს ვერ უპოვია ისეთი ნიადაგი, რომელზედაც შესაძლებელი იყოს შერიგება მოპირდაპირეთა პრესტიჟის დაუმცირებლად. საქმე ისაა, რომ იტალიამ ადრევე გამოაცხადა ტრიპოლისა და კირენაიკის ანექსია (შემოერთება), ამიტომ ახლა სათაკილოდ მიაჩნია სიტყვის უკანვე წაღება, მით უმეტეს, რომ ომის დაწყების მიზანიც სწორედ დასახელებული ქვეყნების დაპყრობა იყო. ოსმალეთს არ სურს ოფიციალურად დაადასტუროს ტრიპოლის ჩამოშორება, თუმცა ფაქტიურად შეურიგდა კიდეც ამ აზრს. საქმე ისაა, რომ ოსმალეთის დიპლომატიის ახირებული ჩვეულებით სულთანი, რომელიც მთელი სამაჰმადიანო ქვეყნების სულიერი მბრძანებელია, ვერაოდეს იყაბულებს ამა თუ იმ ქვეყნის ქრისტიანთათვის დათმობას. მაგ. თუმცა ტუნისი და ალჟირი საფრანგეთის განუყოფელ საკუთრებას შეადგენს, ოსმალეთი მაინც მათ სუვერენად ითვლება სახელით. ასეთსავე მდგომარეობაშია ბოსნია-ჰერცეგოვინა, რომელიც ამ სამიოდე წლის წინად ავსტრიამ შეიერთა, ასეა თუ ისე, ბოლოს და ბოლოს ორივე მხარე დათმობის გზას დაადგება, რათა ბოლო მოუღონ უნაყოფოდ გაჭიანურებულ ომს. ოსმალეთის მიერ ამ ბოლო დროს წარდგენილი სამშვიდო პირობები არც ისე სასტიკია, რომ იტალიამ არ მიიღოს იგინი. ოსმალეთი ფაქტიურად თანახმაა ტრიპოლის დათმობისა, მხოლოდ სამაგიეროდ მოითხოვს ერთს ნაკვეთ მიწას მეწამული ზღვის ნაპირებზე და ერთი ნავთსადგურის შენარჩუნებას ლიბიისა ან ეგვიპტის სანაპიროებზე. დანარჩენი მუხლები მორიგების პროექტისა, როგორც მაგ., სულთნის სუვერენობა დაპყრობილ ადგილებზე და არაბთა მეთაურების ფულით დაჯილდოება ან ტრიპოლის ხვედრი სახელმწიფო ვალის გადატანა იტალიის მიერ, დიდ წინააღმდეგობას არ გამოიწვევენ და მაშასადამე უნდა ვიფიქროთ, რომ მშვიდობიანობაც მალე ჩამოვარდება.

იტალიასთან ომი იმდენად არ აფიქრებს დღეს ოსმალეთის მთავრობას, რამდენადაც შინაგანი ცხოვრების აწეწილი მდგომარეობა და აქედან გამოწვეული რთული დამოკიდებულება მეზობელ სლავიანთა ქვეყნებთან. მკითხველს ალბად მოეხსენება, რომ ალბანეთის წრევანდელმა აჯანყებამ, რომელიც ამ ოთხი უკანასკნელი წლის განმავლობაში ხანდაზმით ხდება ხოლმე, ხელი შეუწყო ახალგაზრდა ოსმალთა ბატონობის დაცემას. პარტია, რომელმაც ქვეყანა იხსნა აბდულ-ჰამიდის საშინელი დესპოტიზმისაგან, ოთხი წლის უკანტროლო ბატონობის შემდეგ სასტიკად დამარცხდა, და დამარცხდა სწორედ იმ პარტიისაგან, რომელიც იმავე პრინციპებს აღიარებს, როგორსაც ალიანსის მოძრაობა. აქედან ცხადია, რომ „ახრარების“ მიერ სახელმწიფოებრივ ძალა-უფლების ხელში ჩაგდებას ფრთა უნდა შეესხმევინებია ალბანელთა მისწრაფებისათვის. ასეც მოხდა. არაოდეს აჯანყებას ისეთი ფართო ხასიათი არ მიუღია, როგორც წელს. მეამბოხეთა დროშის ქვეშ შეიკრიბა თითქმის ასი ათასი მშვენივრად შეიარაღებული კაცი, რომელთაც ისევ ოსმალთა ჯარის უფროსები უწევენ ხელმძღვანელობას. აჯანყებულთა მოთხოვნილება მრავალგვარია, მაგრამ ყველა მათგანი ერთსა და იმავე მთავარ ღერძზე ტრიალობს—ესაა ალბანეთის ავტონომია. მთავრობა თითქოს დათმობის გზას დაადგა: მუხტარ-ფაშამ, მიიღო თუ არა დიდი ვეზირობა, მაშინვე უბრძანა დამსჯელი რაზმების უფროსებს მოქმედების შეწყვეტა და საგანგებო კომისია გაგზავნა ადგილობრივ აჯანყების მიზეზთა გამოსაკვლევად. მოძრაობა თითქოს მინელდა, რასაც ხელი შეუწყო აგრეთვე მაჰმადიანთა მარხვის თვემ—ბაირამმა. მაგრამ ახლა სხვაგვარმა საფრთხემ წამოჰყო თავი. მეზობელი სახელმწიფოები, ოკი ოსმალეთი გაჭირვებულ მდგომარეობაში ნახეს, ერთბაშად შეიძრნენ, დიდი ხნიდან გულს-ჩამარხული განზრახვანი აშკარაო ჰყვეს და შეუდგნენ მათს განხორციელებას. უკეთეს დროს, ჭეშმარიტად, ვეღარ მოესწრებოდნენ. წყალი, რასაკვირველია, ავსტრიამ აამღვრია. მისი ისტორიული მიზანი ისაა, რომ როგორმე ადრიატიკის ზღვაში გასავალი იშოვოს და ხმელთა შუა ზღვაზე გავლენა გაიძლიეროს. ამიტომ იგი თანდათანი მოძრაობით მუცამ სამხრეთისაკენ მოილტვის და თვით უმნიშვნელო საბაბსაც კი არ სტოვებს გამოუყენებლად. რადგან ალბანეთი ჩრდილოეთით ავსტრიის მიწა-წყალს საზღვრავს, მან ხელზე დაიხვია უკანასკნელი აჯანყების ამბები და განუცხადა ოსმალეთს: ავსტრია ყოველთვის კეთილ-განწყობილების მომხრეა მეზობლობაში; რადგან დღეს შენ მეტად გაჭირვებულ მდგომარეობაში იმყოფები, ამიტომ ნებას ვაძლევ ჩემ თავს დაგეხმარო აჯანყებულ კუთხეთა დამშვიდების საქმეშიო და წარუდგინა ალბანეთის ავტონომიის პროექტი, რომელიც იმნაირად იყო გამოჭრილი, რომ ახლო მომავალში მთელს ჩრდილო ალბანეთს დუნაის გერმანელების ბატონობა არ ასცდებოდა. ავსტრია, რასაკვირველია, ერთი სროლით ორი კურდღლის მოკვლას ლამობდა: ჯერ ერთი ალბანეთის გულს მოიგებდა მათი მოთხოვნილების გამოსარჩლებით და მეორეც, თავის ისტორიულ მიზანსაც თვალსაჩინოდ დაიახლოვებდა. მაგრამ ავსტრიის დიპლომატიას ამ ხანად არ გაუვიდა ჩვეულებრივი ხრიკი: ოსმალეთმა მალე აუღო ალღო მის „კეთილ-განწყობილებას“ და გადაჭრით უარი უთხრა პროექტის მიღებაზე, რომელიც შინაურ საქმეებში ჩარევას ნიშნავდა. მაშინ ბერჰტოლდმა დიდ სახელმწიფოებს მიმართა განმარტებით, რომ ავსტრიას მხოლოდ ოსმალეთის ქვეშევრდომ ქრისტიანთა ბედი აწუხებს და მათი მდგომარეობის გასაუმჯობესებლად შეჰქმნა ასეთი პროექტი დეცენტრალიზაციისა. დიდმა სახელმწიფოებმა—იგულისხმე სამთა შეთანხმება: ინგლისი, საფრანგეთი და რუსეთი—ეჭვის თვალით შეხედეს ავსტრიის ნაბიჯს და სრული სიჩუმით უპასუხეს მის განმარტებას. ცხადი იყო ყველასათვის, რომ ამ საკითხში ავსტრია სავსებით დამარცხდა. მაგრამ ვენის დიპლომატია მაინც გულს არ იტეხს. მას ახლა სხვაგან გამოუჩნდა თავისი ნაზრახის მოზიარენი. ბალკანეთის პატარა სახელმწიფოები: ჩერნოგორია, სერბია, ბულგარეთი და საბერძნეთი დიდი ხანია კბილ ალესილი შესცქერიან „ავადმყოფ ადამიანს“ — ოსმალეთს, რომ მოხერხებული დრო მოუნახონ და ერთი შეტევით აინაზღაურონ ის ისტორიული უსამართლობა—ზიანი, რომელიც საუკუნეთა განმავლობაში თურქთა შემოსევისაგან განიცადეს.

კოლხი.

დასასრული იქნება

საზოგადოებანი და კრებები

◆ **ქალაქის საბჭოს** მორიგი კრება ბათს, 17 სექტემბერს მოხდება, ს, სხვათა შორის განსახილველი ქვს: 1) გამგეობის მოხსენება, ერ დასვენების ახალ დადგენილების შეცვლის შესახებ, 2) ქალა ლომბარდის 1913 წლის ხარჯთაღრიცხვა, 3) სარევიზიო კომისიის ტრუქციის პროექტი, 4) გამგეის მოხსენება იმის შესახებ, რომ ეხთა საქველმოქმედო საზოგადოებას იჯარით მიეცეს საქალაქო ავლაბრის აგარაკში, 5) გამგეის მეხუთე წევრის თანამდებობის მოღების შესახებ და სხვა.

სასწავლებლებში.

◆ **ტფ. ვაჟთა პირველ გიმნაზიაში.** როგორც მკითხველებმა იან, წარსულ გაზაფხულზე ეგზამენზე გიმნაზიის მერვე კლასის 20 მოწაფე ჩაიჭრა, რომელთაც ხელმეორედ მისცეს ეგზამენების დაჭერა ნება მიმდინარე სექტემბერში. ეგზამენები გაათავდა. 20 კაცისაგან კარგად დაიჭირა ეგზამენები და სიმწიფის მოწმობები მიიღო 10 მოწაფემ. გვარები: გიორგი არწრუნი, გიორგი ბასინოვი, მიხეილ ზამენსკი, ვით იოსელიანი, ნიკოლოზ მანტაშვილი, ნიკოლოზ მასლენიკოვი, რომანოზ სიმონოვი, გიორგი ჩენკო, დიმიტრი ჩერნიკი და მიხეილ შიმკევიჩი.

სასამართლო

◆ **ტფ. სამოსამართლო პალატის სესია,** რომელიც შავის ზღვის არეს იყო წასული. ტფილისში დაბრუნდა.

სოფლად

◆ **ს. შიბლიანი და ბადიაური.** ეფ. კოლოტაძის კამეჩები შესულან ს. ბადიაურის გადმოსახლებულ უსების მამულში. გადმოსახლებულებმა კოლოტაძეს ესროლეს თოფი ორივე ფეხში დასჭრეს.

ურნალისტის დღიური

84.

საინტერესო ტიპი.

უცნაურ ტიპებს იმუშავებს ჩვენი უხჭირი სინამდვილე. ხშირად ვყოფილვარ სხვა და სხვა სოფლებში და მტრის თვალით დავკვირვებივარ ეგრედ წოდებულ „სოფლის ინტელიგენცია“-ს. ჩვენებურ სოფელში ისე ცოტა ინტელიგენტი იმყოფება, რომ თვითოეული მათგანი არგა ძალას წარმოადგენს. ვადევნებ ხოლმე თვალ-ყურს ჩუმად, დაკვირვების ობიექტს შეუმჩნევლად, ცდილობ აღვნუსხო მისი დამახასიათებელი თვისებანი. აი ამ მოკლე ანშიაც ქართლის ერთს სოფელში მიხდა ყოფნა. გავიცანი ადგილობრივ სოფლის მასწავლებელი. ერთის შეხედვით იგი კარგს შთაბეჭდილებას სტოვებს ადამიანზე. მაგრამ, თუ კარგად ჩავუკვირდები, დარწმუნდები, რომ იგი ჩვეულებრივი, ტიპიური მოხელეა. იგი ერთავად იმასა ცდილობს, რომ თავისი უფროსები სიამოვნოს; მათს გულის წადილს სწრობს და სკოლაშიც ისეთი წესები შეაქვს, რანაირიც უფროსებს სიამოვნებათ. მაგალითად, განდევნილია იმ სკოლიდან გოგებაშვილის „რუსკოე სლოვო“ დ სწავლაც სწარმოებს არა 1881 წლის სამასწავლო გეგმით. ერთის სიტყვით, იგი ტიპიური მოხელეა, ისაც არც პედაგოგიკა აინტერესებს და არც ბარებულ ბავშვების რაციონალური ზრდა-განათლება.

ცოტა კიდევ რომ დავუახლოვდი, ემს წინ გასაოცარი სურათი გადაიშალა. იგი თავის რწმენით „მესამე დასელი“ ყოფილა. გატაცებით მემათქმებოდა ხოლმე ყოველთვის, როდესაც ამ საგნებზე ლაპარაკს ჩამოვაგდებდით. უფრო მეტსაც ვიტყვით: გლეხ-კაცობის ნაწილში სიმპატიაც დაემსახურებინა, როგორც ჩაგრულთა დამცველს და „დემოკრატს“.

ბევრი ვიფიქრე, მაგრამ ვერც მაშინ და ვერც ეხლა ვერ გამომირკვევია, როგორ თავსდება ერთს ადამიანში ორი, ერთი მეორის მოწინააღმდეგე არსება: ტიპიური მოხელე და „დემოკრატი“.

ძალიან მინდოდა მის აზრების გრეხილს ჩავსწვდომოდი, და ამიტომ უფრო საფუძვლიანად გამოველაპარაკე. ჩვენს შორის დაახლოვებით ამნაირი ბასი გაიმართა.

— რად ეწინააღმდეგებით ეგრე ძალიან ჩვენი ხალხის გარუსებას?— შემეკითხა იგი, როდესაც საყვედურით მივმართე: – ისტორიულ ჩარხის რიალი იმისთანა პატარა ერებს, რანაირნიც ქართველები არიან, გაქრობას უქადის. დღეს არა ხვალ, წინააღმდეგობის გაწევა იმდენ ენერგიის დახარჯვას გამოიწვევს, რომ სარფაც არ იქნება ამ წინააღმდეგობის გაწევა. ქართულ ენასა და მწერლობას იმდენად უნდა დაუჭიროთ მხარი, რამდენადაც ეს დღეს-დღეისობითაა საჭირო ჩვენთვის. იქ, სადაც დაბალ ქართულ კულტურიდან მაღალ რუსულ კულტურაზე გადასვლა მოხერხდება, ან სადაც ეს უკვე მოხდა, რა საჭიროა უსარგებლო ფაფხური: წყალ წაღებულს ხავსი ვერ დაიჭერს. ენა და ეროვნება გარდამავალი მოვლენაა. იგი საკაცობრიო კულტურისკენ გადასავლელი საფეხურია. ვისაც იმდენი უნარი აქვს, რომ საკაცობრიო ჭეშმარიტებანი რუსული ენის შემწეობით შეითვისოს, იმისთვის რა საჭიროა ან ქართული ენა, ან ქართული წიგნი. რომელი ქართველი დაიწყებს უჭიროდ დაწერილ ქართულ სამეცნიერო წიგნაკების კითხვას, რომელსაც მას ხელთ ექნება მდიდარი ბიბლიოთეკა უცხოეთის ქვეყნებისა?

— მაშ ამ მოსაზრებით თქვენ შესაძლებლად მიგაჩნიათ დაადასტუროთ გარუსების პოლიტიკა?—შევეკითხე მას.

— პირველი გამარუსებელი ცხოვრებაა, და თქვენ ვერ შეგიძლიანთ მას ებრძოლოთ,—გადამიბრუნა სიტყვა მასწავლებელმა.—თუ გარუსება ნორმალურის წესით სწარმოებს, თუ იგი ჰხდება ცხოვრების ზედ-გავლენით,—თქვენ ვედარაფერს გაჰხდებით და არც უნდა ებრძოლოთ, რადგანაც ეს წინააღმდეგი იქნება საკაცობრიო პროგრესისა და წინ მსვლელობისა“.

გლეხებს კი, როგორც გამოვარკვიე, ამნაირის კილოთი ელაპარაკება ხოლმე:

— რუსული ისწავლეთ, კაცო, რუსული! „სუდში“ მიხვალ,—რუსული უნდა, „ნოტარიუსთან“ მიხვალ – რუსული უნდა. ფეხს ვერსად გადასდგამ ურუსულოდ, ქართულს კი სახლშიც კარგად ისწავლი.

ამ ადამიანს თავისი თავი „მესამე დასელადა“ და პროგრესისტად მოაქვს წლითი-წლობით ჰშხამავს ატმოსფერას... **შინაური.**

ქართული დრამატიული კურსები.

პარასკევს, 14 სექტემბერს ნ. ქართველიშვილის თავჯდომარეობით კვლავ მოხდა ქართ. დრამ. კურსების მოწყობის შესახებ კერძო თათბირი. კრებას მოხსენდა წინანდელი სხდომის ოქმი და ის ცვლილებანი, რომელიც კურსების წესდებაში უნდა შეეტანათ. კამათის დროს გამოირკვა, რომ უმრავლესობა მომხრეა სამ-წლიანი კურსების დაარსებისა, რადგან განზრახული პროგრამა მეტად ფართო ხასიათისაა და ორი წლის განმავლობაში მისი დაძლევა შეუძლებელია. ხმის დიდი უმეტესობით გადასწყდა სამ-წლიანი კურსების დაარსება. გარდა ამისა, წესდებაში შეიტანეს კიდევ სხვა წვრილმანი ცვლილებანიც, როგორც მაგ. კურსებზე მისვლელთა ხნოვანების განსაზღვრა 17 წლის (ვაჟთათვის) ნაცვლად 18 ისა დ აგრეთვე ახალი მუხლები, რომელიც დრამ. საზ. გამგეობისა და კურსების მომავალ პედაგოგიურ საბჭოს ურთიერთობას საზღვრავს. ხანგრძლივი კამათი გამოიწვია წმინდა საპროგრამო საკითხმა, თუ რა ცოდნა მოვთხოვოთ კურსებზე შესვლის მსურველთ. ბოლოს მთელი წესდება კომისიას გადასცეს სარედაქციო შესწორებისათვის. სიხარულით უნდა აღვნიშნოთ, რომ კურსების დაარსების ინიციატორები იშვიათის გულმოდგინეობითა და სიყვარულით ეკიდებიან ამ ფრიად საჭირო დაწესებულებას, რაც იმის უტყუარი თავდებია, რომ განზრახული საქმე სასურველად დაგვირგვინდება. ბ-მა ნ. ქართველიშვილმა გადმოგვცა, რომ პირველი ოქტომბრისათვის კურსების სადგომი უკვე მზად იქნებაო და მაშასადამე, ახლა საჭიროა შესაფერისი ლექტორების მოძებნა, რომელთაგან ზოგიერთი კიდეც დაუსახელებიათ, ქართველი საზოგადოების ვალია, რაც კი შეიძლება, ხელი შეუწყოს კურსების დამარსებელთა მეცადინეობას, რომელიც სამშობლო სცენის აღორძინებისკენაა მიმართული. **დარ.**

არჩევნების გარშემო.

სოფ. ბეჟით უბანი (მოლითი). 14 სექტემბერს აქ მოხდა ადგილობრივ და ლელვანის საზოგადოების ათის თავების ყრილობა, ორთავე საზოგადოებიდან არჩეულ იყო სულ 166 კაცი. გამოცხადდა 135 კაცი. რწმუნებულთა არჩევნები დაიწყო დილის ათ საათზე და დამთავრდა ნაშუადღევის სამ საათზე. კენჭი უყარეს ხუთ კაცს, რომელთაგან არჩეულ იქმნა ორი: სერგო ვეფხვაძე (130 თეთრი, 5 შავი) და მიხა ქყოიძე (125 თეთრი, 10 შავი). პირველი რწმუნებული ეკუთვნის იმ ჯგუფს, რომელმაც ქუთ. გუბ. კიტა აბაშიძე წამოაყენა დეპუტატად, მეორე თუმცა თავის თავს „უპარტიოს“ ეძახის, მაგრამ მაინც ზემოდ—დასახელებულ ჯგუფს ემხრობა. **რისხვა.**

შინგარევის აზრი საარჩევნო კომპანიეზე

„რუსკოე სლოვოს“ კორესპონდენტი ებაასა მესამე სათათბიროს დეპუტატს შინგარევს არჩევნების თაობაზე. მეოთხე სათათბიროს მოქმედებაშიო, ამბობს შინგარევი, ვეცდებით დავიცვათ ძირითადი სამოქალაქო უფლებები, ფართო ადგილობრივი თვითმართველობა და სხვა. კადეტების კონფერენციაზე, გაზაფხულს რომ მოხდა, დავადგინეთ: ადგილობრივ ორგანიზაციებს მიენიჭოს ბლოკის შეკვრის სრული თავისუფლება, მხოლოდ მათ აეკრძალებათ კავშირის შეკვრა მემარჯვენეთა პარტიასთან და ყველა იმათთან, ვინც ცოტა თუ ბევრათ ჰღალატობს კონსტიტუციონალურ პრინციპებს. შინგარევის აზრით კანდიდატურა ისეთი ოქტომბრისტებისა, როგორიც არიან ალექსეენკო, გოდნევი, კამენსკი და გლებოვი, კადეტთა წრეში მუდამ თანაგრძნობის ღირსია.

ამომრჩეველთ უსაყვედურებენ გულგრილობასაო,—ამბობს შინგარევი,—მაგრამ ეს ჭეშმარიტებას მოკლებულია. ამომრჩეველი ჯერჯერობით კუნჭულშია მიმალულიო, და როდესაც მის ჯერზე მიდგება საქმე, ახალ სიტყვას გვეტყვისო. შინგარევის სიტყვით, მეოთხე სათათბიროში პირველობას პროგრესისტები და ნაციონალისტები დაიჭერენ ოქტომბრისტები ეხლა ძალა დაკარგულ პარტიას წარმოადგენსო. შინგარევი იმედოვნებს, რომ სამღვდელოება არ გაამართლებს მთავრობის იმედებს. სამღვდელოება არც ისე რეაქციონურია, როგორც მთავრობასა ჰგონიაო. სახელმწიფო სათათბიროსა და საბჭოს ურთიერთობაში შინგარევი ახალს ვერაფერს ჰხედავს. მომხდარმა არჩევნება ზემო პალატის მარჯვენა ბანაკი გააძლიერაო,

მოწერილი ამბები

ს. შქმერი (ზემო რაჭა). მდებარეობს ზემო რაჭას და იმერეთის საზღვრებზე. ირგვლივ მაღალი მთები არტყია. მთების გულშია ვაკე მინდვრები. ყოველ ფეხის გადადგმაზე ცივი წყაროებია ჰავა ძლიერ საღია, ავადმყოფობა იშვიათია. აქ ცხრა თვე ზამთარია. ნიადაგი უნაყოფოა. ამ სოფელზე გადმოდის გზატკეცილი იმერეთიდან რაჭაში. მიმოსვლა ზამთრობით მეტად საძნელოა და ბევრიც იღუპება.

შარშან ენკენისთვის პირველ რიცხვებში დაირეკა პირველი ზარი ახლად დაარსებულ სამინისტრო სკოლისა. ზარის ხმაზე მრავალი ბავშვები შეიკრიბა სასწავლებლის შენობაში. ყოველი ახალგაზრდისთვის დასრულდა წლიწადი და შესაფერისი ნაყოფიც გვაჩვენა ამ სასწავლებელმა. ვუსურვოთ წინსვლა. **ასტ. პა—იძე.**

ს. მელაანი (გარე კახეთი). მელაანში ორასი კომლი მცხოვრებია. ნივთიერად კარგ მდგომარეობაში იმყოფება, სკოლა კი არა აქვს. რომ ჰკითხოთ ვისმე: რატომ სკოლა არა გაქვთო, ხარჯისა გვეშინიაო,—გიპასუხებენ. ამ საქმეში დამნაშავენი არიან სოფლის მოწინავე პირნი. მათ ადვილად შეეძლოთ ეზრუნათ, რომ ამ სოფელში გაეხსნათ პირველ დაწყებითი სასწავლებელი.

აქ ძალიან გახშირებულია მოვახშეობა. საჭიროა დაარსდეს წვრილ კრედიტის ამხანაგობა.

ყურადღების ღირსია ის გარემოებაც, რომ მცხოვრებნი დაუნანებლად და გაუფრთხილებლად ჰკაფავენ მშვენიერ ტყეებს. თუ ასე გაგრძელდა, ტყის სახსენებელიც აღარ იქნება. დაუჭრიათ ზოგიერთი ასი წლის ხეები, რომელნიც სამების ეკლესიის გორას ამშვენებდა.

ხალხი დიდ იმედებს ამყარებს მომავალ რკინის გზაზე. ამბობენ უმთავრესი სადგურთაგანი აქვე, მელაანის გვერდზე „ჩრდილის“ ტყის პირას იქნებაო. ბევრ ეხლავე ფიქრობენ იქით გადასახლებას. **სანდრო.**

დეპეშები

(დეპეშათა პეტერბ. სააგენტო)

14 ენკენისთვე.

საზღვარ-გარედ

ათინა. საბერძნეთის სახელმწიფომ დაავალა თავის ელჩს პორტასთან წასვლა. ელჩის პირით საბერძნეთის სახელმწიფო უცხადებს ოსმალეთს ღრმა პროტესტს ბერძენთა გემზე თავდასხმისთვის; მოითხოვს დამნაშავეთა დასჯას და ზარალის ანაზღაურებას.

სამოსის სამთავროს საბჭოს წევრებმა მიმართეს მფარველ სახელმწიფოებს შველისთვის.

უნგრეთი.

ბუდაპეშტი. ტრანსლეიტანის კონკენტზე ტისმა განაცხადა, მიუხედავად იმისა, რომ უნიის საეპისკოპოსოს დაარსება მთავრობისაგან ბევრ ხარჯს მოითხოვს, პროექტი მიღებულ იქმნას.

ვენა. ავსტრიის გარეშე საქმეთა დელეგაციის კომისიაში, გარეშე საქმეთა სამინისტროს ხარჯ აღრიცხვის განხილვის დროს შვარცენბერგმა სთქვა: რუსეთთან მეგობრულ განწყობილების განმტკიცება ავსტრიისთვის ხელსაყრელი იქნებაო. ასერბიის თაობაზე შვარცენბურგი ამბობს არ შეგვიძლიან სერბიის ტერიტორიის გასაფართოებლად ავსტრიის ტერიტორია ხიფათში ჩავაგდოთო. ჩვენ მშვიდობიანობა გვსურს, და თუ იგი დაირღვა, მაშინ იძულებული ვიქნებით ავწონ-დავწონოთ ჩვენი ძალი და ინტერესებიო.

ელენბოგენის შეკითხვაზე, აპირებს თუ არა მთავრობა ოსმალეთის საქმეებში ჩარევას და მის ტერიტორიის საზღვრების შეცვლას, ბერტჰოლდმა უარყოფით უპასუხა.

გაზეთი „ნეი-ფრეი-პრესე“ აღნიშნავს, რომ ბერტჰოლდის აზრით ავსტრიის და რუსეთის თანხმობას შეუძლიან უზრუნველ ჰყოს ზავის საქმე.

სერბიელთა გადასახლება.

ბელგრადი. სამასი სერბიელი სენიციდან სერბიის ტერიტორიაზე გადასახლდა, ოსმალთა თავდასხმის შიშით.

ამერიკელ მეზღვაურთა დახოცვა.

ნიკარაგუა. ლეონში ოცდა ცხრა მეზღვარი მოუკლავთ. ჩდილო ამერიკის მეზღვაურებმა პროვინცია გრანადა ხელთ იგდეს. მეამბოხეთა მოთავე შეპყრობილია.

ფულის გატაცება.

ქონი. ქანადანის მახლობლად ქურთები დაეცნენ ფოსტას, გაიტაცეს ხუთასი მანეთი. ფოსტალიონი მოჰკლეს.

სპარსეთის საქმეთა რწმუნებული პეტერბურგში, ალი კულიხანი დანიშნულია გარეშე საქმეთა მინისტრის ამხანაგად.

ლონდონი. კონტრა მენონოსცევის ფლოტილიამ ველეი დაიპყრო. მთელი იოკშირის ნაპირები მტრის ხელ შია.

მხედართა აჯანყება.

ვუჩანი. ორი ათასი ცხენოსანი აჯანყდა. შეიპყრეს ორმოც და ათი მეამბოხე და დახვრიტეს. კიდევ ორასი მხედარი დახვრიტეს სხვები გაიქცნენ.

თეგერანი. „პროგრესის“ პარტიამ ხალხში გაავრცელა ტელეგრამა, სადაც მუშტეიდები და ბაქტიარების მოთავენი მოითხოვენ კონსტიტუციის აღდგენას და მეჯლისის მოწვევას.

ტაიფუნი.

ლონდონი. ტაიფუნისაგან განადგურებულია იაპონიის სხვა და სხვა ნაწილები. ტოკიო მოწყვეტილია ქვეყანას.

გაფიცვა რკინის გზაზე.

მადრიდი. ბარსელონაში ჯარი იგზავნება. მატარებელთა მიმოსვლა საპიორთა დახმარებით აღდგენილია.

ალმერია. სამხრეთ ესპანიაში რკინის გზის მოსამსახურენი გაიფიცვნენ.

ოსმალეთი.

უსკიუბი. ცნობის მიწვდენა სკუტარიში შეწყვეტილია. კათოლიკე ალბანელებმა გზები დაიჭირეს-სკუტარს ემუქრებიან. მთავრობა ამხედრებს მუსულმან ალბანელებს კათოლიკებზე.

ბერლინი. მთავრობა ზომებს იღებს, რათა ხორცის უქონლობა მოსპოს. სამეურნეო საზოგადოება პროტესტს უცხადებს მთავრობას, რომლის სიჩუმემაც აღელვება გამოიწვია.

რომი. საჩქაროდ მოწვეულია მინისტრთა საბჭო, მთავარ კითხვების განსახილველად. ტურინის ლიგა, თავის მანიფესტში იცავს დაპყრობილ კუნძულთა ავტონომიას.

სოფია. საზღვრის საყარაულოზე ქამამზურონთან ოსმალთა და მილიციის შორის სროლა ასტყდა. მოკლულია ერთი ბულგარელი.

უსკიუბი. იარაღით დატვირთული ოცი ვაგონი დაატყვევეს და სერბიაში გაგზავნეს.

ბულგარელ ჯარის-კაცების დახოცვა.

სალონიკი. ბულგარელ და ოსმალელ ჯარის კაცების შორის სროლაა. მოკლულია ოცდა ათი ბულგარელი ჯარის კაცი.

მალისორები სკუტარს ესხმიან. ქალაქი საშიშ მდგომარეობაშია.

გილიანიდან იტყობინებიან, ალბანელები უკმაყოფილებას აცხადებენ დეცენტრალიზაციისა და რომაულ ანბანის შემოღების წინააღმდეგ.

ალღუმის გადადება

სტამბოლი. სახელმწიფოთა თხოვნით ოსმალეთის ალღუმი შეჩერებულია.

ლივანის გენერალ-გუბერნატორად პორტა ჰფიქრობს დანიშნოს სომეხი სენატორი ერომა.

გაფიცვა რკინის გზაზე.

ბარსელონა. ესპანიის დიდ ქალაქებში მზადდება საყოველთაო გაფიცვა. პროტესტს უცხადებენ მთავრობას რკინის გზის მოსამსახურეთა მაგიერ საპიორების მუშაობის გამო.

ცხოვრების სიძვირე

ბოსტონი. სავაჭრო პალატის კონგრესი, საერთაშორისო კონფერენციის მოწყობას ჰფიქრობს, ცხოვრების სიძვირის საკითხის განსახილველად.

სტამბოლი. ალღუმის შეჩერებამ ხალხი დაამშვიდა. ღელვარებას იწვევს შინაგანი მოუწესრიგებლობა. უწესოება ხდება სკუტარიაში. გზები შეკრულია. ვაჭრობა აღარ სწარმოებს. მთავრობა უძლურია ლაგამი ამოსდოს ქურთების თავგასულობას.

სამსუში ამბოხებაა. ხალხი მოავრის გადადგომას მოითხოვს. სამხრეთ ალბანეთის და მაკედონიის ვილაეთებში ყაჩაღთა ბრბო ხალხს სძარცვავს. დიდი მოთხოვნილებაა ახალ რეფორმებისა.

ჰუსეინ-ყიაზიმის აზრით ერთად-ერთი ხსნა ოსმალეთისა ბალკანეთთან ომიაო. ბერტჰოლდის წინადადება ყიაზიმს დამღუპველად მიაჩნია.

შიშის ზარი სენიცაში

სენიცა. სერბიელი მცხოვრებნი შიშის ზარმა მოიცვა. მუსულმან ყაჩაღთა ბრბომ მთელი მხარე შეაძრწუნა. ოთხი თვის განმავლობაში ოცდა ხუთი სერბიელი მოუკლავთ.

სოფია. ქამამბუნარში სროლა შესწყდა. მთავრობამ ოსმალეთს უკმაყოფილება გამოუცხადა. პრესამ ბერტჰოლდის მოხსენებას სასტიკი კრიტიკა გაუკეთა. ევროპისგან არაფერს არ უნდა გამოველოდეთო, ამბობს გაზეთი „მირი“. ბერტჰოლდის პოლიტიკა ნათელია. გაძლიერება ავსტრიის „ზღვაზე და ხმელეთზე“. გაზეთი „ტრიბუნა“ და „დენის“ აზრით მარტო ავსტრია არაა გამზადებული, „ხმელეთზე და ზღვაზე“ გასაძლიერებლად—ავსტრიის სიძლიერეს სამთა სახელმწიფოთა კავშირის და ბალკანეთის სახელმწიფოების სიძლიერე გადაელობებაო.

რუს ქვეშევრდომთა შევიწროვება სპარსეთში.

ურმია. ქურთებმა აიკლეს სოფელი თამარი, საცა რუსის ქვეშევრდომნი მოსახლეობდნენ. მცხოვრებნი ოსმალეთს შველასა სთხოვენ.

ავსტრიის დელეგაციები.

ვენა. ავსტრიის დელეგაციის გარეშე საქმეთა კომისიაში ბერტჰოლდმა განაცხადა: ჩემი მოხსენება უმეტესობამ თანაგრძნობით მიიღო, რისთვისაც მადლობას ვიხდიო. სამ სახელმწიფოთა კავშირის თაობაზე, რამაც ევროპის საპოლიტიკო წრეები აალაპარაკა. მინისტრი ამბობს, მათი ურთიერთობა ემსახურება იმავე მიზანს, რასაც ჩემი მოხსენება აღნიშნავდაო. ევროპის სახელმწიფოთა ორ ჯგუფზე დაყოფა არ უნდა გვაშინებდეს, რადგანაც ესენი ერთიერთმანეთის სამტროდ არ არიან გამზადებულნიო. ბერტჰოლდმა დელეგატ ელენბოგენის საპასუხოდ სთქვა: ჩემი მიზანია ბალკანეთში ავსტრიის წინანდელი მდგომარეობა დავიცვაო. მინისტრს სრულიად არ სურს პირველობა დაისაკუთროს აღმოსავლეთის საკითხში.

დელეგატ ტუსარის აზრი, ავსტრია-უნგრეთმა ძალა დაატანოს იტალიას ზავის ჩამოსაგდებად, უარჰყო, რადგანაც იტალია-ოსმალეთი სხვაზე დამოუკიდებლად გადასწყვეტენ ამ საკითხსო. შვარცენ-ბერგენის მიერ აღძრულ საკითხის შესახებ დარდანელის თაობაზე, მინისტრმა განაცხადა: ეს საკითხი სადღეისო არ არის და მისი გადაწყვეტა, სხვა სახელმწიფოთა დაუკითხავად არ შეიძლება გადაწყდესო. სამ სახელმწიფოთა კავშირის საზღვარ [illegible] მინისტრმა ნამდვილი [illegible] ხმელთა შუა [illegible] საზღვაო ძალის შემოკრება კი არ უნდა გვაშინებდეს, არამედ ჩვენც უნდა მოვემზადნეთ მაგ გზაზე სასიარულოთ.

გარეშე საქმეთა სამინისტროს ხარჯთ-აღრიცხვა მიღებულ იქმნა.

პეტერბურგი. ცნობათა მიმცემი ბიურო იუწყება: რადგანაც პრესაში დიდ უკმაყოფილებას იწვევს პრესის წარმომადგენელთათვის აკრძალვა ამომრჩეველთ კრებებზე დასწრებისა, საჭიროა ვაუწყო, რომ თანახმად 76—82 მუხლ. სახელმწიფო სათათბიროში არჩევნების წესდებისა, დასწრება ამომრჩეველთა კრებაზე, შეუძლიან მხოლოდ მათ, ვინც შეტანილია ამომრჩეველთა სიაში ამა და ამ საარჩევნო უბნისა.

ეკატერინოდარი. ყოფილ პოლიცმეისტერის თანაშემწეს გალოვკოს ყალბი საკრედიტო ქაღალდების გასაღებისთვის სასამართლომ ოთხი წლის ციხე მიუსაჯა.

პეტერბურგი. იუსტიციის მინისტრის ორდერმა სენატის განსახილველად წარადგინა საკითხი აღძრული სახელმწიფო საბჭოს პირველ დეპარტამენტში, გოლოლობოვის საქმის გარჩევის დროს: პასუხისმგებელია თუ არა დეპუტატი საპარლამენტო ტრიბუნაზე წარმოთქმულ სიტყვისა.

კოსტრომა. იურეცის ახლოს დაიღუპა გემი „ვაკუუმი“. მგზავრები გადარჩნენ.

ვენა. პოლონელთა საარჩევნო კომიტეტმა მეორე საქალაქო კრებას ამომრჩეველთა მხრივ წამოაყენა, მაცეევიჩის კანდიდატურა სათათბიროს დეპუტატისა.

სამარა. წარმოიშვა ახალი ჯგუფი ამომრჩეველთა, რომელნიც ნაციონალისტების მხარს იჭერენ და მომხრენი არიან სათათბიროს რეალურ საკანონმდებლო მოქმედებისა.

რუსეთი

ნიკოლაევი. რუსის ხალხის კავშირის თაოსნობით გამართულ საარჩევნო ორგანიზაციის სხდომაზე, მესამე სათათბიროს დეპუტატი მარკოვი მეორე, ყველა მემარჯვენეთ შეერთებისკენ მოუწოდებდა.

კიევი. წესდების დარღვევისთვის დაიკეტა დაბალ, საშუალო და უმაღლეს სწავლის გამავცელებელი საზოგადოება, რომელიც დასავლეთ და სამხრეთ გუბერნიებში ჰმოქმედებდა.

პეტერბურგი. ვაჭრობა - მრეწველობის სამინისტრომ გადასწყვიტა გამოიკვლიოს ციმბირის მინერალური წყლები.

მიწათმოქმედების უწყებამ შეიმუშავა საკითხი საგიდროტეხნიკო მუშაობისა მთელ ევროპის რუსეთში. საფინანსო სამინისტროს მოსაზრებით საბაჟო გადასახადი 1913 წლისა შეადგენს სამას ოცდა ცამეტ მილიონს, ოთხას სამოცდა ექვს ათას მანეთს. 1912 წლის გადასახადს აღემატება ცხრა მილიონით, ექვსას სამოცი ათასი მანეთით.

თეატრი და ხელოვნება

დღეს სათეატრო სეზონის დასაწყისია. ქართ. დრამ. საზოგადოების გამგეობის. დასი ვლ. ალ-მესხიშვილისა მონაწილეობით და ვალ. შალიკაშვილის რეჟისორობით წარმოდგენილი იქნება ცნობილი „**სამშობლო**“ (ისტორიული დრამა დ. ერისთავისა.) პიესაში მონაწილეობს თითქმის მთელი დასი, მომღერალთა გუნდი, და მრავალი ხალხი. უმთავრეს როლებს ასრულებენ: სვიმონ ლეონიძე **ვ. გამყრელიძე**; ლევან ხიმშიაშვილი-**ბ. ვლ. ალ.-მესხიშვილი**; შაჰ-აბაზი-**ვალ. გუნია**; ფაიხოში-**ტ. აბაშიძე**; ქეთევანი-**ნ. დავითაშვილი**; დიმიტრი დადიანი-**ი. ზარდალიშვილი.** იმედი გვაქვს, რომ როგორც მთელი სეზონი ისე ის პირველი წარმოდგენაც [illegible] ჩაივლის. ამის თავდებია მცოდნე და მეცადინე რეჟისორი **ვალ. შალიკაშვილი** და გამოცდილი, ნიჭიერი მსახიობნი.

ქართული თეატრი. ამ მოკლე ხანში ქართულ თეატრში გაიმართება **დიდი კონცერტი ბ-ნ კ. გ. ფოცხვერაშვილის ლოტბრობით.** ამ კონცერტში სხვათა შორის პირველად შესრულებულ იქნება რამდენიმე ნომერი ოპერიდან “კერპთა დამხობა“. ეს ოპერა ბ-ნა ფოცხვერაშვილმა დასწერა პეტერბურგში მუსიკოს გბრუნის ხელმძღვანელობით.

საოპერო მომღერალთა ამხანაგობა. ტფილისში შესდგა მომღერალთა ახალი ამხანაგობა ბ-ნ კ. ს. ცხომელიძის თაოსნობით. ამხანაგო-

ბაში შედიან: ქ-ნი პერსინსკისა დავითაშვილი, დავიდოვი ბ-ნი ცხომელიძე და სხვანი. მათ განუზრახავთ მართონ საოპერო სცენები და კონცერტები ქართულ კომპოზიტორთა ნაწარმოებისა გორსა, ქუთაისსა, ყვირილისა, სამტრედიასა, ოზურგეთსა, ფოთსა, ბათუმსა და სოხუმში.

სახალხო სახლი. ქართულ სახალხო წარმ. მმართ. წრის სარეპერტუარო კომისიამ დაადგინა მოიწვიოს ცნობილი ლიტერატორები და მასთან ახლო მდგომი პირები, რათა ხელმძღვანელობა გაუწიონ სახალხო რეპერტუარს, განიხილონ უკვე არსებული რეპერტუარი და შეამზადონ მომავალი, აგრეთვე შეასწორონ არსებული თარგმნილი პიესები და სთარგმნონ ახალი.

გადაწყვეტილია ამ ლიტერატურულ ჯგუფის ოჯახის წევრებად მოიწვიონ: ბ. ბ. პეტრე გელეიშვილი, ივანე გომართელი, არსენ მამულაიშვილი, იოსებ გედევანიშვილი, ილია ზურაბიშვილი, ივანე ზურაბიშვილი, ივანე მაჰავარიანი და ქ-ნი ნინო ყიფიანი.

პირველ თვეების რეპერტუარში შედიან შემდეგი ორგინალური პიესები: **„ოჯახში“** იოსებ გედევანიშვილისა და ე. ნინოშვილის რომანიდან გადმოკეთებული, პელაგია შარაშენიძის—მიერ—**„ჯანყი გურიაში“**. თარგმნილთაგან: „ბრანდი“ და „უძღები შვილი“. წრის გამგეობას აზრად აქვს ზოგიერთ პიესებს წარმოდგენის დაწყების წინ უძღვნას რეფერატები და გააცნოს დამსწრე საზოგადოებას ავტორის ვინაობა და პიესის იდეია-შინაარსი და სხვა.

გამგეობამ დაავალა რეჟისორს, ბ-ნ ალ. წუწუნავას წაიკითხოს რომელიმე წარმოდგენის წინ ლექცია შემდეგ თემაზე: „თეატრი, მსახიობი და „მსმენელი“. „წრეს“ დადგენილი აქვს აფიშებზე იქონიოს თავის ემბლემა, რომელიც უკვე შემზადებულია ახალგაზრდა ცნობილ მხატვარის, ბ-ნ კ. ქავთარაძის-მიერ. წარსულ სეზონში გადაწყვეტილების თანახმად „წრის“ სცენის-მოყვარენი იღებენ რა დიდის მადლობით საზოგადოების „აპლოდისმენტებს“ ტრადიციულ თავის დასაკრავათ არ გამოვლენ საზოგადოების წინაშე და ამით ხელს არ შეუშლიან პიესის საერ შთაბეჭდილებას.

სახალხო სახლი. ქართულ სასალხო წარმოდ. მმართველ წრის მიერ 18 ენკენისთვეს განახლებული იქნება წარმოსადგენად წმრსულ სეზონში კარგად ცნობილი და საზოგადოების მიერ მოწონებული დრამა ი. გედევანიშვილისა „გამცემი“ 3. მოქ. რომელიც იყო დადგმული ოთხჯერ ალ. წუწუნავას-მიერ.

ქართული სათეატრო სეზონი ბათომში. წელს მუდმივი ქართული დრამატიული დასი საბოლოდ შესდგა. მსახიობთა ამხანაგობამ თავის თავს სახელად უწოდა „ქართულ დრამატიულ დასის ამხანაგობა „მოგზაური.“

სეზონი იწყება 15 სექტემბერს. ამ დღეს წარმოდგენილ იქნება ანდრეევის „გაუდეამუს“, ხოლო 16-ს-„სოფლის გმირები“ პ. ირეთელისა.

22 და 23 სექტემბერს ამხანაგობა წარმოდგენას გამართავს ნოვოროსიაში, ხოლო 29 და 30-ს—სოხუმში.

დასში შედიან შემდეგი პირნი: ქ-ნნი-ანდრონიკაშვილი; აბაშიძე, ბეჟანიშვილი, დარჩია, რონელი, წუწუნავა და სხვები და ბ-ნნი: ბარველი, შ. დადიანი, კორიშელი, მურუსიძე, სარელი, ურუშაძე, ყალაბეგიშვილი, ხარაზიშვილი, ხურციძე, ჯაყელი და სხვა.

განზრახულია, საგასტროლოდ მოიწვიონ ეფემია მესხი, ნინო დავითაშვილი, ვლ. ალექსი-მესხიშვილი, ვ. აბაშიძე, ვ. გუნია, კოტე მესხი და სხვა.

ამხანაგობამ რეჟისორად აირჩია კარგად ცნობილი მსახიობი შალვა დადიანი. რეპერტუარი შემუშავებულია და შიგ შედის შემდეგი პიესები: „მსხვერპლი“, „სოფლის გმირები“, „ლევან ეგანაძე„, „ღალატი“ „რაც გინახავს, ველარ ნახავ“, ნინო ნაკაშიძის ახალი პიესა „ბრძოლის ველი“: „სახელმწიფო სადგომი“, „გაკოტრება“, „გარეული იხვი“, „ჰენრიხ ნავარიელი“, „ვიდრე ხვალ უფალო“, „დიდი ამბავი ტყუილ-უბრალოდ“, „ჰანელე“ და „მეფე კამერუნისა“.

როგორც მკითხველებმაც იციან, მუდმივი დასი ბათომში წელს პირველად სდგება, თუმცა ქართულ წარმოდგენების მოთხოვნილება აქ დიდი ხანია არის. დიდად სასიამოვნოა, რომ წელს მაინც ეღირსება მუდმივი რიგიანი ქართული წარმოდგენები რის თავმდებიც არის ხანგრძლივი სინდისიერი სამსახური და სასცენო გამოცდილება დასის ხელმძღვანელის შალვა დადიანისა. დასში თანამშრომლებად ეყოლება ის ახალგაზრდა მსახიობნი, რომლებმაც უკანასკნელს წლებში ყურადღება დაიმსახურეს თავის შრომის მოყვარეობითა, სასცენო უნარითა და განსაკუთრებით კი სცენაზე იშვიათის ანსამბლის შექმნით.

ვუსურვებთ ახალ ამხანაგობას მხნეობას ამ რთულს და ნაყოფიერს საქმეში, ხოლო იმ ადგილებს (ნოვოროსიას, სოხუმს, ფოთს და სხვებს), რომლებსაც დასი ესტუმრება, ამ მუშაკთა ღირსეულ დაფასებას და მათთვის ჯეროვან ხელის შეწყობას.

რედაქტორ-გამომცემელი ნ. კურდღელაშვილი.

განცხადებანი

სამკურნალო

ექიმთა საზოგადოებისა

მუდმივის საწოლებით.

გადავიდა ახალ ბინაზე და მიღება და წყო 16 ენკენისთვიდგან

კუთხე რეუტ. ქ. № 2 და მიხეილის ქუჩა, № 49, სახ. ყარალაშვილისა. მიხეილის საავადმყოფოს პირდაპირ, ტელეფონი № 1026.

იღებენ ავადმყოფთ:

ალაჯანოვი—საშარდე ორგანოთა, ათაშანგისა და კანის სნეულებისა—დილის 11—12 ს.

ვ. ვ. ვნუკოვი—ქირურგიულ სნეულ. ნაშუად. 1—2 საათამდე.

ეგიაზაროვი ი. ნ.—შინაგან, ნევრვებსა სულით-ავადმყოფთ. ელექტროტერაპია დილი 11—12 საათამდე.

კიმონტი გ. პ.—ქირურგიულ სნეულ. დილის 11—12 საათამდე.

მაგაკიანი გ. ნ.—შინაგან სნეულებ. და ბავშვების ავადმყ. დილ. 11½—12½ სათ.

ა. დ. კალმიკოვისა-ვნუკოვისა—დედათა ავადმყ.—დილ. 11—12 ს. სამკურნალოში ელექტრონითა და მასაჟით სწამლობენ. მიკროსკოპიულ, ბაქტეროლოგიურ და ქიმიურ გამოკვლევას ახდენენ, ყვავილს უცრიან. ძიძებს ამოწმებენ. რჩევის ფასი 50 კ. ოპერაციებისა და კონსულტაციების ფასი—მორიგებით. სამკურნალოს სტაციონალური განყოფილება შესდგება საზოგადო პალატისა და ცალკე ნომრებიდან.

წამლობა „606“-ით.

(0—253—125)

ექიმ ნავასარდიანის პირველი კერძო სამკურნალო

დაარსებულია 1880 წელს.
(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).

ავადმყოფების მიღება ყოველ დღე გარდა კვირისა.

დილით:

„606“—11—12 ს. შეშხაპუნება კონსულტატიურად.

ბ. ა. ნავასარდიანი: 11—12 ს. ქირურგიული, და ვენერიული (სიფილ.) ავად.

ბ. გ. აგასაროვი: 1—2 ს. შინაგანი ბავშვთა ავადმყ.

კ. მ. ჩიქოვანი: 9½—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

ზ. ი. ბაბანასოვი: 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა,

ნ. ტ. მულინი: 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.

მ. გ. ავეტისიანცი: 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.

გ. ი. გურგენოვი: 12—1 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

ა. პ. კარაპეტიანცი: 12—1 ს. შინაგანი საბავშვო და ყვავილის აცრა.

ექიმი ქალი **ე. ნ. ამბრუმოვა-მელიქიანი** 1—2 ს. საბებიო დ. ქალების ავადმ.

საღამოთი:

მ. გ. ავეტისიანცი: 6—7 საათ.

რჩევა-დარიგება 50 კაპ. ხელმოკლეთათვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მორიგებით.

სამკურნალოს დირექტორი მედიცინის დოქტორი **ბ. ა. ნავასარდიანი.**

(წ. 1078.214)

აფთიაქი

ახლად გაღებული—შუაგულ კახეთში, **ს. წინანდალში**—იძლევა იჯარით. ცნობებისთვის მიმართეთ: ტფილისი, მიხეილის პრ., № 144 შნეიდერის აფთიაქი. (3.658.3)

ქართულ ენაზე ჭრა-კერვის წიგნი

თვით-მასწავლებელი 128 ნახატით, ახალი მეთოდი. ექვსი ნაწილი: ქართული, იმერული, ევროპიული, თეთრეული მანდილოსანთ და ბავშვთათვის. ჟურნალების მოხმარება შედგენილი და გამოც. **სოფიო ი. სიმონოვის მიერ.** ყდით 3 მ., გაგზავნით 3 მან. 50 კ. ვინც ათზე მეტს იყიდის ფოსტის გასაგზავნი არ გადახდება. წიგნის გამოწერა შეიძლება ფასდადებითაც.

მისამართი: Телавъ, школа кройки и шитья Соф. Іос. Симоновой. Бульварны пер., 2, соб. д. (100—1231—37)

ექიმი ა. ნ. დიასამიძე

კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოვ.-დღე ნაშუადღ. 2—3 ს საღამ. 6—7 ს. ხუთშაბ. მხოლოდ დილ. 8—9 ს. კვირ. ავადმყ. არ იღებს. მოსკოვის ქუჩა, № 3. ს. [illegible]

სამშობიარო თავშესაფარი თუხარელისა,

გოლოვინის პროსპექტისა და გრიბოედოვის ქუჩის კიმში, № 34, ფეოდოსიის ეკლესიის გასწვრივ. იღებენ ფეხმძიმე და მშობიარე ქალებს დღე და ღამ ყოველ დროს. ცალკე ნომრებიც არის ხელმისაწვდომ ფასებში და საზოგადოც. ორ-საწოლიანი ოთახი 2 მან. დ. მომშობიარებისათვის 6 მან. არის საზოგადო ოთახში ხელმისაწდომ ფასში, დღე-ღამეში 1 მან. იღებენ დედათა ავადმყოფობით სნეულთა და საბებიოს საქმისათვის. ძიძებსა და მოახლეებს ყოველ დღე, დილის 11—12 ს.-მდე) მოწმებს. თავშესაფარის გამგე ექიმი **მ. გ. მიკირტუმოვი.** (თ. 1037.61)

პეტერბურგის კონსერვატორიაში სწავლა-დამთავრებული, თავისუფალი ხელოვანი

ე. გ. ქიქოძისა აძლევს მუსიკის (როიალი) გაკვეთილებს.

სვიატოპოლკ-მირსკის ქუჩა, № 11. (23.651.10)

გაიღო სასტუმრო

„ლასკუტ“

ბარონის ქ., სახ. ბანკის გვერდით № 14.

სრულიად ახლად გადაკეთებული ავეჯეულობა. სისუფთავე და ზრდილობიანი მოსამსახურე. ოთახები დღიურად და თვიურად. დღე-ღამეში 60 კაპეიკიდან 3 მანეთამდე, თვიურად 10 მ—დან 50 მ—მდე. ოჯახობისათვის მოსახერხებელია. განათება ელექტრონისა. სასტ. „ფრანციის“ ყოფ. პატრ. **გეგიაძე.** (3.671.3)

გამოსულია და იყიდება

ი. გედევანიშვილის პიესა „გამცემი“

დრამა 3 მოქმედ. ფასი 25 კ.

გამოსულია და იყიდება

არჩილ ჯორჯაძის თხზულებანი

I ტ	„ეროვნულ პრობლემის გარშემო“ ფასი " " "	75 კ.
II "	„ჩვენი საზოგადოებრიობა " " " " "	80 კ.
III "	„ნააზრევი“ " " " " " " "	65 კ.
IV "	წერილები „ცნობის ფურც.“-„მოამბ.“ 1901—1902 წ. "	85 კ.

მივიღეთ მარიამობისთვის

შვედური და დელიკატესნი კილკები.

თევზის მრეწველნი

ძმ. ძებველოვები.

პუშკინის ქ., საკუთარი ს. № 9.
ტელეფონი № 712.

ბოჭკის საუკეთესო

ხიზილალა,

გირვანქა 1 მ. 60 კ.

აგრეთვე მოგვდის ცოცხალი **ლოქო** და კობრი, |საზანი.|

(წ.1131.254)

ინჟენერი

ი. ს. კონდოევი

ტფილისი.
ელისაბედის ქ, 164.
ბაქოს ქ. კუთხე.

ცემენტი
ასფალტი, ტოლი, ცეცხლის მძლე აგური და თიხა, ლურსმეულობა, „заклейки“, გულცარიელი აგური და კრამიტი და სხ., საშ. მასალა

რკინის კოჭები,
საქვაბე რკინები,
საკუთხე რკინები,
სახურავების რკინები.
(შავი და ცინკნარევი).

ტელეფონი:
კანტორისა № 10—93
აგურხანისა № 11—96.

საშენებელი აგურები საკუთარ აგურხანიდან ვაკეზე (25.1474.8

ტფილისის ქალაქის გამგეობა

აუწყებს სამიკიტნოების პატრონთ,

რომ მათი კრება ქალაქის სასარგებლოდ ხარჯის გამწერავ კომისიის ასარჩევად დანიშნულია ქალაქის ბირჟის დარბაზში ვერის მოედანზე: დუქნებისა, სამიკიტნოებსა და რენსკის სარდაფებისა პატრონთა—პარასკევს, 14 სექტემბერს, დილის 10 საათზე, ღვინის სარდაფების-პატრონთა შაბათს, 15 სექტემბერს, დილის 10 საათზე; რესტორანებისა, ბუფეტებისა, სასტუმროებისა და ლუდხანების პატრონთა—კვირას—16 სექტემბერს დილის 10 საათზე; ცხელ საჭმელებიან სახაითა, მოწყობილ ნომრებისა, საკანდიტროებისა, სანოვაგის დუქნებისა ყავახანებისა და ბაკების პატრონთა—ორშაბათს—17 სექტემბერს დილის 10 საათზე. უკეთუ აღნიშნულ დღეებში სავაჭროთა პატრონნი არ გამოცხადდებიან, მაშინ სამიკიტნოთა წარმოების დებულებათა მე-43 მუხლის ძალით ხარჯს თვითონ ქალაქის გამგეობა გააწერს. (2. 1503.2)

ავადმყოფებს და სუსტებს

„სპერმატინი“

დამზადებულია ი. ნ. ივანოვის ლაბორატორიაში, ექიმებისა და ფარმაცევტების მეთვალყურეობით. **„სპერმატინის“** გამომგონება ეკუთვნის დიდებულ ფრანგ პროფესორს ექიმ **ბროუნ-სეკარს.** მან, 76 წლისამ თავის თავზე გამოსცადა ამ წამლის გადამხალისებელი და ჯანის გამმაგრებელი გავლენა.

მას მერე მკურნალებმა დაადასტურეს, რომ **„სპერმატინი“** უებარი წამალია: მოხუცებულების სისუსტისა, სისხლნაკლებისა მძიმე ავადმყოფობისა, ნერვებ აშლილისა, გონებისა და სხეულის მოქანცულობისა, სქესობრ. მოჭარბებისა, ჯანის გატეხისა, დამპალ ციებისა, ძარღვების მოდუნებისა, ხერხემლ. ტვინის გახმობისა, სიდამბლისა, კაცობიდან ჩამოვარდნის, წყალმანკისა, გულისფრიალისა შაქრის ავადმყოფობისა, ქარებისა, ათაშანგისა, ლოთობისა, ყაბზობისა, ჭლექისა, ვარდის წყლით წამლობის შედეგისა და სხვ.

1 შუშა ღირს 2 მ. 40 კ. ტაბლეტ—2 მ. 75 კ. ფასდადებითაც შეიძლება დაბარება. აფთიაქებს და სააფთ. საწყ.—ფას-დაკლებით. გასაგზავნს დამბარებელი იხდის. იყიდება კავკასიაში მთავარ წარმომადგენელთან—**ი. ახობაძე და ამხ.** ტფილისი, ლორის-მელიქოვის ქუჩა, სახლი № 6, ეზოში. (50—661—4)

სამ. სამმართ. ნებართ. (1907 წ. № 9696)

ხელოვნურად შეზავებული

სამკურნალო და ხილეულობის წყალი

მიტროფანე ლაღიძე და ამხ.

მზადდება საუკეთესო ხილეულის წვენისაგან, წმინდა შაქრით, ქიმიურად გაწმენდილი მასალებისაგან, გამოხდილი და ნადუღი წყლით.

გემო და სუნი საამური აქვს.

ფირმა დაჯილდოვებულია წყლის საუკეთესო ღირსებისათვის დიდოქროსა და ვერცხლის მედლებით და ცნობილია სრულიად უვნებლად ტფილისის გუბერნიის სამკურნალო მართველობისაგან № 5792.

ქარხნები იმყოფება: **ტფილისში, გოლოვინის პროსპ. № 5 ტელეფონი № 411, ქუთაისში - პუშკინის ქუჩა № 6.**

(25.1407.13)

ეროვნული ბიბლიოთეკა

23 ფასიანი ნივთი 3 მან. 45 კ.





1, ლამაზი, მკვ-დრი კაცის საათი „ანკერი“ (არა ცილინდრისა), შავის ინგლისური ფოლადისა, 15 ქვიანი, „ქრონომეტრის“ სისტემისა, მომართვა სჭირია 36 საათში ერთხელ, წუთი-წუთად არის გასწორებული. 8 წლის გარანტიას ვიძლევით. 2, კოხტა ძეწკვი. ორ-რიგი. 3, შანა-სინემატოგრაფი, საინტერესო სურათებითა, ან კომპასი. 4, საათის შესანახი ხატის ბუდე. 5, კოხტა ბეჭედი „დუბლი“, პარიზის ქვებიანი. 6—9, სატუალეტო ჯიბის ნესესერი ოთხის საინტერესო ნივთითა. 10, საათის ქურდთაგან უზრუნველმყოფელი. 11, პარიზული „პლასტიგრაფი“ უჩვენებს ყოველგვარ სანახაობას. 12—17, საამისო ექვსი საინტერესო სურათი. 18 ნიკელის სამწერლო მოწყობილობა ჯიბით სატარებლად. 19 კოხტა. მოვერცხლილი საწუმწუმე 20, ჯიბის, დასაკეცი მაკრატელი ინგლისურ ფოლადისა. 21, საშინაო სტამბა—არის 100-მდე ასო და ციფრი დასაბეჭდი. 22, სრული მოწყობილობა სტამბისათვის. 23, ტყავის ახალ მოდის პორტმანე 6 განყოფილებიანი. ძალიან თხელი და სატარებლად მოხერხებული. მთელი გარნიტ. **ფასი 3 მ. 45 კ.**, 2 გარნიტ. **6 მ. 45 კ.**, ამასთანავე გარნიტ. უმაღლეს ხარისხის ნივთ. თხელ ს საათითა—**4 მ 45 კ.**, 2 გარანტიური—**8 მ. 45 კ.** ხუფიანი საათი, ანუ ქალისა ყველა საჩუქრებითა 1 მან. ძვირადაა. გაგზავნა **40 კ.**, ციმბირში **70 კ.** უგზავნით ფასდადებით, უბეოდ

უფასო პრემია 8 მანეთად ღირებული

ადრესი: Т-ву „Патентъ“, Варшава, Св. Креста № 48, отд. 116.

გთხოვთ ადრესი ამოსჭრათ და მაგრად დააკრათ კონვერტსა ან ღია ბარათზე.

Метцль. 44333. (2—1459—5)

ვკისრულობ:

1. დაგირავებას და გადაგირავებას უძრავ მამულებისას როგორც ქალაქებში, აგრეთვე სოფლებში.
2. უძრავ ქონებათა ყიდვა-გაყიდვას.
3. მადნეულობის გამოკვლევას და შემუშავებას.
4. ყოველგვარ აზრების და პირობის ქაღალდის შედგენას.
5. ხე-ტყის მასალის მყიდველის და გამყიდველის შოვნას.

მთხოვნელებს ვიღებ ყოველ დღე გარდა კვირისა და უქმე დღისა, დილის თერთმეტის ნახევრიდან 12 საათამდე და საღამოთი ექვსიდან 7 ს.-მდე. **ბინა: ქ. ტფილისი, გოლ. პროსპ.**, სახლი **მანთაშევისა**, სასტუმრო „უნივერსალი“, № 2, ტელეფონი № 499.

(25—1496—7) **იოსებ კირილეს ძე რაზმაძე.**

იმერული შამპანიური ღვინოები,

ფილიპე ნიკოლოზის ძის ჭელიძისა ქუთაისში,

„კოლხიდა“ და „თამარა“

მოიპოვება გასასყიდად ტფილისში:
1) ვაგზლის ქუჩაზე, ზ. დ. თოიძის საგასტრონომიო მაღაზიაში და
2) მიხეილ. პროსპ. № 5, ა. ზ. ბერელაშვილის ღვინის საწყობში.

ფასები 1—20 კ. 1 50 მან. ფირმა დაჯილდოვებულია რუსეთის გამოფენებზე ერთი ოქროსი და ოთხი ვერცხლის მედლებით. (37.[illegible]166.31)

ვაჭრობა-მრეწველობის უწყებაში მყოფი

ბუხჰალტ რიის პრაქტიკული კურსები და კომერციული ანგარიში

ი. ფ. კალატნიკოვისა,

(ტფილისი, მიხეილის ქუჩა, 132).

1912—13 წლის სემესტრში ქალ-ვაჟთ შეუძლიანთ მიღების თხოვნა შემოიტანონ და ჩაეწერნენ ყოველ დღე დილის 10 საათიდან საღამოს 9 საათამდე. მეცადინეობა 15 სექტემბერს დაიწყება.

კურსებზე ორივე სქესის მსმენელნი იძენენ საფუძვლიანსა და სრულიად დამთავრებულ მომზადებას, კანტორა ბუხჰალტერიისა და საალებ-მიცემო მიწერ-მოწერის დამოუკიდებლად საწარმოებლად.

კურსებზე შემსვლელნი საფუძვლიანად სწავლობენ: 1. **ბუხჰალტერიას** უბრალოს, ორმაგს, იტალიურს, გერმანულს, ამერიკულსა, ფრანგულსა და ახალ რუსულს (ყველა სისტემის შესასწავლად სავალდებულოა პრაქტიკული მუშაობა) ბ) **ანგარიშების წარმოებას:** საზოგადოდ საალებ-მიცემოს, საბანკოს, საფაბრიკოს, საზოგადოს, ს[illegible] მეურნეობისას, ქალაქისას და ერობისას. 2. საკომერციო არითმეტიკას, 3. სავაჭრო უფლებას, 4) თამასუქების უფლებას, 5) საალებ-მიცემო მიწერ-მოწერას, 6) ანგარიში საანგარიშო ჩოთქზე. 7) ლამაზსა და სწორ წერას (კალიგრაფიას), 8) საწერ მანქანის ხმარებას, 9) რუსულ ენას, 10) არითმეტიკას, 11) **უცხო ენებს:** ინგლისურს, ფრანგულსა და გერმანულს, 12) უცხო ენებზე საალებ-მიცემო მიწერ-მოწერას.

რუსულსა და არითმეტიკის მსმენელთ უფასოდ ასწავლიან.

მასწავლებლებად მოწვეულნი არიან უმაღლეს სწავლა მიღებული სპეციალისტები. კურსების წესდება და პროგრამა მსურველთ უფასოდ ეგზავნებათ. (25—1447—11)

სავაჭრო და მრეწველობის სამინისტროს უწყებაში მყოფი

ნ. ვ. აბრაამიანის საბუღალტრო კურსები

(არსებობს 1895 წ.)

ავტორი „ბუღალტერიის სახელმძღვანელოსი“, რომელიც მოწონებულია ვაჭრ. და მრეწ. სამინისტროს მიერ.

ორივე სქესისათვის **კურსი 4 თვისაა** ყოველ-დღიური მეცადინეობით.

სწავლა იწყება 15 სექტემბერს, 1912 წ. კურსებზე ასწავლიან ბუღჰალტერიისა და სხვა სავაჭრო ცოდნათა საგნებს მრეწველობის სხვა დ სხვა დარგიდან, მაზუთისა და ნავთის მრეწველობაზე—ყოველ ნაირ წესით, დახელოვნება ორმაგ იტალიურ სისტემაში. კომერც. არითმეტიკა, კომერც. მიწერ-მოწერა, სავაჭრო უფლება, სავექსილო წესდება, პოლიტიკური ეკონომია, არითმეტიკა ჩოთქზე, ლამაზი წერა, ხელის გასწორება, მსურველთათვის **უცხო ენები**, სტენოგრაფია დ რემინგტონ. **მასწავლებელნი**—სპეციალისტნი უმაღლეს სწავლით, პრაქტიკულად და თეორეტიულად ყოველ ცალკე საგანში მომზადებულნი. **ატესტატები** სამინისტროს ნებართვით. პროგრამები და წესები უფასოდ ეძლევათ თხოვნები მიიღება ყოველ დღე 9—11 საათამდე და 5—7 საათამდე.

ნაკლებ მომზადებულთათვის კურსებთან არსებობს მოსამზადებელი განყოფილება რუსულ ენისა და ანგარიშისა.

წერილობით და პირადად მიჰმართეთ კურსების დამაარსებელს: ნიკოლოზის ქ., 22, საკუთ. სახლი. **ტელეფ. № 744.** (თ. 1450—10)

ტფილისი, მუხრანის ქუჩა, № 12 სტამბა „შრომა“